ელიტალური ვილების მშენებლობის
განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეპცია

ქ. ბათუმი, წმინდა ანდრია პირველწოდებულის I ჩიხი, N 18
ს/კ: 05.36.24.091
რაიონი ხელვაჩაური, სოფელი გონიო
ს/კ: 05.36.24.608
ქალაქი ბათუმი, დასახლება გონიო
ს/კ: 05.36.24.805

კერძო ინიციატივის ფარგლებში ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის შემუშავების

ტექსტური ნაწილი

II ეტაპი

დამკვეთი: **შპს "გონიო 2020"**
შემსრულებელი: **შპს "არტ-დიზაინი+"**

ART DESIGN +

2021

1 შესავალი

1.1. წინათქმა

გეგმარებითი ერთეულის - შპს „გონიო 2020“ -ის საკუთრებაში არსებული (ს. კ. 05.36.24.091, 05.36.24.608 და 05.36.24.805) ნაკვეთების განაშენიანების დეტალური დაგეგმარების კონცეფცია წარმოადგენს კანონი „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსით“, გეგმების შემუშავების წესითა და გეგმარებითი დავალება(დამტკიცებული ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 14/05/2021 წლის ბ14.142113427 ბრძანებით) შედგენილ დოკუმენტაციას რომელიც მომზადდა შპს „გონიო 2020“ -ის კერძო ინიციატივით. ის შემუშავდა გეგმარებითი ერთეულის ფარგლებში სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების გათვალისწინებით, გეგმარებითი ერთეულის ანალიზისა და განვითარების ხედვის საფუძველზე, გეგმარებითი ერთეულისა და მიმდებარე ტერიტორიების განვითარების პერსპექტივისა და საქართველოს შავიზღვისპირეთის განსახლების ქვესისტემის კონტექსტის გათვალისწინებით.

1.2. განმარტებები

1.2.1 შემოკლებები

წინამდებარე დოკუმენტში გამოყენებული შემოკლებები აიხსნება შემდეგნაირად:

(1) **გგ** - განაშენიანების გეგმა;

(2) **გდგ** - განაშენიანების დეტალური გეგმა;

(3) **გეგმარებითი ერთეული** - *გეგმების შემუშავების წესის* შესაბამისად, წინამდებარე დოკუმენტით გათვალისწინებული დოკუმენტაციის შემუშავებისთვის ინდივიდუალურად განსაზღვრული დაგეგმვის ტერიტორიული ფარგლები;

(4) **გეგმების შემუშავების წესი** - საქართველოს მთავრობის 2019 წლის 03 ივნისის №260 დადგენილებით დამტკიცებული „სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესი“;

(5) **გენგეგმა** - გენერალური გეგმა;

(6) **გის** - გეოინფორმაციული სისტემა;

(7) **დაგეგმარება** - სივრცის დაგეგმარება (პროექტირება). ამაში ერთიანდება: ქალაქგეგმარება, არქიტექტურული დაგეგმარება და საინჟინრო დაგეგმარება;

(8) **დაგეგმვა** - სივრცითი განვითარების და/ან განაშენიანების მართვის დაგეგმვა. აქ ერთიანდება: სტრატეგიული დაგეგმვა, სივრცითი დაგეგმვა და/ან მიწათსარგებლობის დაგეგმვა;

(9) **დაგეგმვის გუნდი** - მრავალდარგობრივი სპეციალისტთა გუნდი, რომელიც პასუხისმგებელია *დაგეგმვაზე* და თანმდევი სამუშაოების შესრულებაზე;

(10) **დსს** - *კოდექსის მე-14 მუხლით* გათვალისწინებული „სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი დაგეგმვის საინფორმაციო სისტემა“;

(11) **კვლევა** - მოსამზადებელი (წინასაპროექტო) კვლევა;

(12) **კოდექსი** - საქართველოს კანონი „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“);

(13) **მერია** - მუნიციპალიტეტის მერია;

(14) **მთავრობა** - საქართველოს მთავრობა;

(15) **ნებართვა** - მშენებლობის ნებართვა;

(16) **პარლამენტი** - საქართველოს პარლამენტი;

(17) **საკრებულო** - მუნიციპალიტეტის საკრებულო;

(18) **საჯარო რეესტრი** - სსიპ საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო;

(19) **სგშ** - გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებული სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასება;

(20) **სდგ** - მუნიციპალიტეტის სივრცითი დაგეგმარების გეგმა**;**

(21) **ძირითადი დებულებები** - საქართველოს მთავრობის 2019 წლის 03 ივნისის №261 დადგენილებით დამტკიცებული „ტერიტორიების გამოყენების და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებები“

1.2.2 ტერმინთა განმარტებები

წინამდებარე დოკუმენტში გამოყენებულ ტერმინებს გააჩნიათ საქართველოს კანონმდებლობაში განმარტებული/გამოყენებული მნიშვნელობები, დამატებით გამოიყენება ქვემოთ მოცემული მნიშვნელობები:

(1) **აეროფოტო** - საჰაერო გადაფრენით შესრულებული ორთოფოტოგადაღება;

(2) **დაგეგმარება** - პროექტირება, რომლის დროსაც, სივრცითი განვითარების და/ან განაშენიანების მართვის დაგეგმვის საფუძველზე, ხორციელდება ტერიტორიების ფიზიკური გარემოსა და ინფრასტრუქტურის ფორმირების ამოცანების გადაწყვეტა და შესაბამისი ტაქსონომიური დონის დოკუმენტაციის მომზადება;

(3) **დენდროლოგია** - მერქნიანი მცენარეების შესწავლა, ტაქსონომია და აღწუსხვა, მათი სარგებლიანობის და გამოყენების საჭიროების დადგენის მიზნით;

(4) **დრონი** - ახლო მანძილის დისტანციური ზონდირებისთვის განკუთვნილი საფრენი მოწყობილობა;

(5) **ესთეტიკური პარამეტრები** - შენობა-ნაგებობის ესთეტიკური წყობისა და მახასიათებლების ერთობლიობა, რომელიც დგინდება განაშენიანების მართვის რეგლამენტით, განვითარების ხედვის შესაბამისად;

(6) **ვიზუალიზაცია** - დაგეგმილი თუ დაგეგმარებული წარმოსახვითი ფიზიკური გარემოს სხვადასხვა კომპიუტერული გრაფიკის გამოყენებით შექმნილი გრაფიკული გამოსახულება (სურათი, დიაგრამა და/ან ანიმაცია);

(7) **ზედა ტაქსონომიური დონე** - სივრცითი დაგეგმვის მაკრო ხასიათი და მიზნები, რომელიც აღწერს უფრო მეტად აბსტრაქტული ხასიათის მონაცემებს და მათ კორელაციებს; სადაც საერთო მიზნები და ამოცანების თავისებურებანი, როგორც წესი კონცენტრირებულია უფრო მეტად ფართო, მთლიან სისტემაზე;

(8) **კომიუტერი** - ადამიანი, რომელიც რეგულარულად გადაადგილდება საცხოვრებელი ადგილიდან დასახლებათშორის მანძილზე დაშორებული სამუშაოს/სასწავლებლის მიმართულებით. როგორც წესი 1 დღე-ღამის ინტერვალით;

(9) **კოსმოფოტო** - სატელიტური გადაფრენით შესრულებული ორთოფოტოგადაღება;

(10) **ლიდარი** - მიწისზედა გამოყენებითი ფოტო-გრამმეტრიული მეთოდი, რომლისა საშუალებითაც გაიზომება მანძილი ობიექტამდე, მასზე ლაზერის სხივის მინათებით;

(11) **ლიმიტაცია** - გარემო ფაქტორების ერთობლიობა, რომლებმაც დაგეგმვის მიზნების ფორმირებისას ინტერესთა შეჯერების პროცესი შეზღუდეს ან შეუძლებელი გახადეს;

(12) **მასშტაბი** - ფიზიკურ გარემოში გაზომილი სხეულების გამოხატვის/გამოხაზვის დროს შემცირების ზომა. ასევე, რუკაზე, გეგმაზე ან სქემაზე მოცემული ხაზების სიგრძის შეფარდება ამ ხაზით გამოხატულ ნამდვილ სიგრძესთან. მასშტაბი სამი სახისაა: რიცხვითი, ხაზოვანი და სიტყვიერი. ქართული შესატყვისია ***ხაზთსადარი***;

(13) **ინტერეს-წერტილი** - სივრცით დაგეგმვაში, ასევე ტოპოგრაფიასა და კარტოგრაფიაში, განსაზღვრული სივრცე ან ადგილმდებარეობა, გამოსახული ნივთიერ-წერტილის სახით, რომელიც კონკრეტული მიზნებისთვის (ადამიანთა მოღვაწეობის/საქმიანობის თვალსაზრისით) წარმოადგენს ინტერესის და/ან მიზიდულობის ობიექტს;

(14) **ორთოფოტოგადაღება** - ტერიტორიის ნაწილის ორთოგონალური პროექციის მსხვილ- ან წვრილ-მასშტაბიანი ფოტოსურათი, რომელიც დისტანციური ზონდირების მეთოდით, დედამიწის დონებრივი სიმრუდის გათვალისწინებით ასახავს ფიზიკურ გარემოს;

(15) **საზოგადოებრივი სივრცე** - განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში მდებარე ქუჩა, გზა, მოედანი, ხიდი, სკვერი, პარკი, ბაღი, ხეივანი, წყლის ზედაპირი და მისი სანაპირო ზოლი, ბუნებრივი ან ხელოვნური ლანდშაფტი, მიწის ნაკვეთებს შორის გასასვლელი და სხვა მსგავსი ტიპის სივრცეები და/ან მიწის ნაკვეთები, რომლებიც განკუთვნილია ან გადაცემულია საზოგადოებრივი მოხმარებისთვის, მათ შორის საჯარო სერვიტუტის გამოყენებით;

(16) **საკვლევი არეალი** - წინამდებარე დოკუმენტით გათვალისწინებული დოკუმენტაციის შემუშავებისთვის საჭირო კვლევების ჩატარების ტერიტორიული ფარგლები და/ან მონაცემების შეგროვების ინფორმაციული არე, რომელიც დამატებით დაზუსტდება შესაბამისი ტაქსონომიური დონის შესაბამისი კონცეფციების შეფასებისას, დაგეგმვაზე უფლებამოსილი ორგანოს გადაწყვეტილებით;

(17) **საკოორდინატო ბადე** - მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული, ტერიტორიის აბსოლუტური ჰორიზონტალური ნიშნულების ერთობლიობა (WGS 84 კოორდინატთა სისტემასა და UTM პროექციაში), გამოსახული ორთოგონალურ ბადეზე;

(18) სამშენებლო პოტენციალი - ტერიტორიისთვის გამოყენების დროს ან მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების დროს, განაშენიანების მართვის რეგლამენტით მათთვის დადგენილი ქალაქთმშენებლობითი სიმჭიდროვეების და/ან განაშენიანების რეგულირების პარამეტრების ათვისების შესაძლებლობა;

(19) საბაზისო რუკა - *გეგმების შემუშავების წესის* შესაბამისად, ტერიტორიის სივრცითი განვითარებისა და ფიზიკური გარემოს ფორმირების, მათ შორის მიწათდაფარულობის (არსებული სურათის) ამსახველი, დაგეგმარების საბაზისო დოკუმენტი, რომელიც მზადდება ციფრული (ინტეგრირებული საინფორმაციო სისტემაში) და/ან ბეჭდური (კარტოგრაფიული გეგმის/რუკის) სახით;

(20) საცხოვრებელი ფონდის სიმჭიდროვე - დაგეგმარებითი თვალსაზრისით მოწესრიგებული ტერიტორიის (უბანი/კვარტალი ან სამეზობლო) საზღვრებში რეგულირების წესებით ფუნქციური ქვეზონისთვის დადგენილი **საცხოვრებელი ერთეულების** მაქსიმალური დასაშვები რაოდენობა ან ამავე ტერიტორიის ყოველ 1 ჰა-ზე ან შენობის განაშენიანების ფართობის განსაზღვრულ წილზე, გამომდინარე *განაშენიანების მართვის* ამოცანებიდან;

(21) სტრატეგიის განაცხადი - გეგმარებითი ერთეულის განვითარების სტრატეგიის ამსახველი დოკუმენტი;

(22) ქვედა ტაქსონომიური დონე - სივრცითი დაგეგმვის მიკრო ხასიათი და მიზნები, რომელიც ფოკუსირებულია უფრო მეტად ინდივიდუალური ხასიათის მონაცემებზე და თავისებურებებზე; სადაც დაგეგმვის მიზნები და ამოცანების თავისებურებანი, როგორც წესი, კონცენტრირებულია მთლიანის ნაწილებზე და მათ ფუნქციონირებაზე;

(23) ტოპოგრაფიული (ტოპოგეოდეზიური) გეგმა - ტერიტორიის ნაწილის ორთოგონალური პროექციის მსხვილ-მასშტაბიანი (არაუმეტეს მ 1:10000) ნახაზი, რომელიც პირობითი აღნიშვნების გამოყენებით, დედამიწის დონებრივი სიმრუდის გათვალისწინების გარეშე ასახავს ფიზიკურ გარემოს;

(24) ტოპოგრაფიული (ტოპოგეოდეზიური) რუკა - ტერიტორიის ნაწილის ორთოგონალური პროექციის წვრილ-მასშტაბიანი (მ 1:10000 მეტი) ნახაზი, რომელიც პირობითი აღნიშვნების გამოყენებით, დედამიწის დონებრივი სიმრუდის გათვალისწინებით ასახავს ფიზიკურ გარემოს;

(25) ფოტოგრამმეტრია - სამეცნიერო-ტექნიკური დისციპლინა, რომელიც გამოიყენება ობიექტების ფოტოგამოსახულების მიხედვით მათი ფორმების, ზომების, მდებარეობის და მსგავსი სივრცული მახასიათებლების განსაზღვრისთვის;

(26) ფოტოფიქსაცია - ტერიტორიის ფიზიკური გარემოს ასახვა ფოტოგადაღების მეთოდით, კონკრეტულ დროში მისი მდგომარეობის დაფიქსირების მიზნით;

(27) ქალაქის ფუნქცია - ქალაქის მოსახლეობის (კომიუტერები და მაცხოვრებლები) და/ან სხვა სუბიექტების საქმიანობის სფერო(ებ)ის/დარგ(ებ)ის თვითკმარი კონცენტრაცია, რომელიც/რომლებიც განსაზღვრავს ქალაქის არსებობას და განვითარებას;

(28) ქალაქწარმომქმნელი ფაქტორი - იმ გარემო პირობების (ადმინისტრაციული საქმიანობა, საფინანსო საქმიანობა, მრეწველობა, ტურიზმი, სატრანსპორტო კვანძები და კავშირები, და სხვა) საერთო სახელი, რომელთა კონცენტრაცია მოცემულ ტერიტორიაზე განაპირობებს, როგორც წესი ურბანიზებული კატეგორიის დასახლების გაჩენას;

(29) ქალაქმომსახურე სფერო/დარგი - ქალაქის ფუნქციაში არსებული სფერო(ები)/დარგ(ებ)ი, რომელთა საშუალებით შექმნილი პროდუქტი (საქონელი და/ან მომსახურება) მოცემული ქალაქის ფარგლებში მოიხმარება და/ან საკუთრივ ქალაქის მოსახლეობის მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად შეიქმნა;

(30) ქალაქმაფორმირებელი სფერო/დარგი - ქალაქის ფუნქციაში არსებული სფერო(ები)/დარგ(ებ)ი, რომელიც უზრუნველყოფს ქალაქის შემოსავალს და ამ ფუნქციების შედეგად შექმნილი პროდუქტი (საქონელი და/ან მომსახურება) მოიხმარება ქვეყნის მასშტაბით და მის ფარგლებს გარეთ (საქალაქო ექსპორტი). *ქალაქმაფორმირებელი სფერო/დარგი* განსაზღვრავს ქალაქის მნიშვნელობას და მის ადგილს ქვეყნის შიგნით და მის საზღვრებს გარეთ;

(31) ღირებული ობიექტი - ისტორიულ-კულტურული (ურბანული, არქიტექტურული, მხატვრული, და/ან მეხსიერებითი) ღირებულების მქონე უძრავი ობიექტი (შენობა ან ნაგებობა), რომელსაც არ გააჩნია ძეგლის სტატუსი, თუმცა კულტურული მემკვიდრეობის ნაწილად მოიაზრება;

(32) წამახალისებელი ზონირება - ცალკეული ტერიტორიებისთვის, *კოდექსითა* და/ან *ძირითადი დებულებებით* განსაზღვრულ ფარგლებში, განაშენიანების მართვის რეგლამენტებით დადგენილი ზონირების საერთო წესების შემარბილებელი (გამონაკლისი) და/ან მასტიმულირებელი ღონისძიებების (გამოწვეული საჯარო ინტერესით) ერთობლიობა, რომლის დროსაც მენაშენეს ეძლევა სამშენებლო მიწის ნაკვეთის განვითარების დამატებითი შესაძლებლობები: ***საზოგადოებრივი მნიშვნელობის ინფრასტრუქტურის განვითარების, შეუსაბამო ობიექტში ცვლილებების შეტანის*** *და/ან* ***დასახლების ეკონომიკურად ნაკლებ საინტერესო უბნებში წარმოებული მშენებლობის სანაცვლოდ****;*

(33) ხედვის განაცხადი - გეგმარებითი ერთეულის განვითარების ხედვის ამსახველი დოკუმენტი.

ყველა სხვა ტერმინი, რაც მოცემულია ტექსტში და არაა განმარტებული ამ მუხლში, განიმარტება შესაბამის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით.

2. წინაპირობები

2.1 დაპროექტების საფუძველი

განაშენიანების რეგულირების გეგმის კონცეფცია არსებული ქალაქმშენებლობითი პარამეტრების შეცვლის მიზნით მომზადდა შპს „არტ-დიზაინი+“ ის საპროექტო ჯგუფის მიერ დამკვეთის (შპს „გონიო 2020“) დირექტორის ნინო დოლიძის საპროექტო დავალების, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის და სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესის საფუძველზე.

2.1.1 დაგეგმვის საჭიროება და ინიციატივა

გეგმარებითი ერთეულის დაგეგმვის საჭიროებას განაპირობებს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის კონკრეტული ფუნქციური ზონირების რუკით დადგენილი ქალაქგეგმარებითი პარამეტრების შპს „გონიო 2020“ -ის საპროექტო დავალებით მოთხოვნილი ქალაქგეგმარებითი პარამეტრების ცვლიება.

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის კონკრეტული ფუნქციური ზონირების რუკის შესაბამისად საპროექტო ტერიტორული ერთეული მიეკუთვნება საკურორტო ზონას და წარმოადგენს შერეული ზონის (შზ-4) ქვეზონას , რომელიც მდებარეობს განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში და საკვლევი არეალის განაშენიანების მიხედვით წარმოადგენს ნაშენ ტერიტორიას სადაც განსაზღვრული კოეფიციენტებია:

ა) შზ-4 ზონაში დადგენილი განაშენიანების მაქსიმალური კოეფიციენტი (კ-1) - 0.2;

ბ) შზ-4 ზონაში დადგენილი მაქსიმალური სიმაღლეა 15 მეტრი:

გ) შზ-4 ზონაში დადგენილი გამწვანების კოეფიციენტია (კ-3) - 0,8 .

საპროექტო გადაწყვეტით საპროექტო ტერიტორული ერთეულის ფუნქციური ზონირების ცვლილება არაა განსაზღვრული და ტერიტორიის ძირითადი ნაწილი დატვირთვირთება შზ-4 ზონაში დაშვებული ობიექტებით, კერძოთ სასტუმროს ტიპის კოტეჯებით.

შპს „გონიო 2020“ -მა გამოიჩინა ინიციატივა მის საკუთრებაში და დაინტერესებაში არსებული გეგმარებითი ერთეულის (ს. კ. 05.36.24.091, 05.36.24.608 და 05.36.24.805) განვითარების მიზნათ დასახა დაბალი ინტენსივობის სასტუმრო ფუნქციის მქონე ელიტალური ვილების მშენებლობა, რის საფუძველზეც საჭირო გადა ქალაქმშენებლობითი პარამეტრების ცვლილება, რაც არსებითად არ შეცვლის დადგენილი ზონის მოთხოვნებს.

კერძოდ განსაზღვრულია:

1) შზ-4 ზონაში დადგენილი განაშენიანების მაქსიმალური (კ-1) კოეფიციენტი 0.2 მაჩვენებლიდან გაიზარდოს 0,3-მაჩვენებლამდე.

2) შზ-4 ზონაში დადგენილი მაქსიმალური სიმაღლე 15 მეტრიდან შემცირდეს 8 მეტრამდე:

3) შზ-4 ზონაში დადგენილი გამწვანების (კ-3) კოეფიციენტი- 0,8 მაჩვენებლიდან შემცირდეს 0,6-მაჩვენებლამდე.

4) დასაპროექტებელ ვილებს შორის მიჯნის ზონებით დადგენილი მანძილები შემცირდეს 3 მეტრამდე.

2.1.2. გეგმარებითი ერთულის მდებარეობა და აღწერა

საპროექტო გეგმარებითი ერთეული (ს. კ. 05.36.24.091, 05.36.24.608 და 05.36.24.805) საერთო ფართით 20485,0 კვ.მ მდებარეობს ქ. ბათუმში, წმინდა ანდრია პირველწოდებულის I ჩიხი, N 18, გონიოს დასახლებაში შავი ზღვის სანაპირო ზოლში განლაგებულ ტერიტორიაზე, რომელის ბათუმის ცენტრიდან დაშორებულია 12 კმ-ით. საპროექტო ტერიტორიას დასავლეთის მხრიდან ესაზღვრება ზღვის სანაპირო და შავი ზღვა, ჩრდილოეთის , ჩრდილო- აღმოსავლეთის მხრიდან 300 მეტრის რადიუსში თავისუფალი ტერიტორიები, აღმოსავლეთის მხრიდან 230 მეტრის მანძილზე თავისუფალი ტერიტორიები და შემდგეგ დაბალი ინტენსივობის განაშენიანება ხოლო ნაწილობრივ სამხრეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთის მხრიდან 300 მეტრის რადიუსში დაბალი ინტენსივობის კერძო განაშენანება.

ვინაიდან გეგმარებითი ერთეული მდებარეობს კვარტალურად ჩამოუყალიბებელ გარემოში, მოსამზადებელი კვლევის პერიოდში საკვლევი არეალი დაზუსტდა და მოიცვა გაცილებით მეტი არეალი ვიდრე ეს დავალებით იყო განსაზღვრული. კერძოდ, გეგმარებითი ერთეულის მიმდებარედ კვლევის არეალში მოექცა გეგმარებითი ერთეულის ირგვლივ 300 მეტრიანი პერიმეტრში განლაგებული ნაკვეთები, წმინდა ანდრია პირველწოდებულის გზატკეცილიდან სანაპირომდე, ჩრდილოეთის მხრიდან სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული ნაკვეთების ნაწილი და აღმოსავლეთის მხრიდან დაბალი ინტენსივობისმქონე კერძო ნაკვეთებით განაშენიანებული ნაკვეთები.

2.1.3. საკუთრების ანალიზი

გეგმარებითი ერთეულის საერთო ფართობი შეადგენს 30,6 ჰექტარს, საიდანაც 36 % (11.0 ჰა) ნაშენი ტერიტორიაა, ხოლო 64% (19.6 ჰა) უშენი. რაც შეეხება მიწის ნაკვეთების რეგისტრაციას, ჯამურად დარეგისტრირებულია 95,4 % (29.2 ჰა) მიწა, 4,6% (1,4 ჰა) დაურეგისტრირებელია. აღნიშნული მიწის ნაკვეთებიდან 15.7%-ს (4.8 ჰა) ფლობს კერძო სექტორი; 60,1% (18,4 ჰა) ფლობს სახელმწიფო; 11.1%-ს (3,4 ჰა) ფლობს სხვადასხვა შპს; და 8,5%-ს (2,6 ჰა) ფართობზე განლაგებულია გზა და საზოგადოებრივი დანიშნულების ტერიტორიები.. ქვემოთ მოცემულია რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების საკუთრების სტრუქტურის მიხედვით განაწილება გრაფიკულად. *(იხილეთ გრაფიკი # 1)*

გრაფიკი # 1



დეტალურად იხ. რუკა # 14

2.1.4. სოციალური ინფრასტრუქტურა

კვლევის არეალის ყველა ძირითადი აქტივობა და სოციალურ-კულტურული ინფრასტრუქტურის ობიექტები თავმოყრილია წმინდა ანდრია პირველწოდებულის გზატკეცილის მიმდებარედ გეგმარებითი ერთეულიდან 295.0 მ. მანძილის დაშორებით: ძირითადად განლაგებულია ბენზოგასამართი სადგური, ვალიუტის გადამცვლელი ჯიხურები, კომერციული და კვების ობიექტები სადაც მეტწილად დასაქმებულია ადგილობრივი მაცხოვრებლები, ხოლო ჯანდაცვის, განათლების, კულტურის, სპორტის, სამოქალაქო უსაფრთხოების ობიექტები კვლევის არეალში არ არსებობს.

2.1.5. დემოგრაფია

საქსტატის 2021 წლის 1 იანვრის მონაცემებით ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა 172,1 ათასი კაცია, რომლის 51,2% ქალია და 48,8% მამაკაცი. მოსახლეობის სიმჭიდროვე 1 კვ/კმ-ზე 2461 კაცია, ხოლო საკვლევი ტერიტორიის მუდმივი მოსახლეობა შეადგენს 206 ადამიანს (79 შინამეურნეობა). გარდა მუდმივი მოსახლეობისა, საკვლევი ტერიტორიის მოსახლეობის მეორე თავისებურებაა მკვეთრი სეზონური პიკები, რაც გამოწვეულია როგორც ტურისტების , ასევე ვიზიტორების, საკმაოდ დიდი რაოდენობით. ოფიციალური მონაცემები ე.წ. არამუდმივად მოსახლეებზე არ არსებობს.

ცხრილი #1

ქალაქების და დაბების მოსახლეობის რიცხოვნობა 1 იანვრის მდგომარეობით

(ათასი)

რეგიონი, მუნიციპალიტეტი, ქალაქი, დაბა	2015			2016			2017			2018			2019			2020			2021		
	სულ	საქალაქო დასახლება	სასოფლო დასახლება	სულ	საქალაქო დასახლება	სასოფლო დასახლება	სულ	საქალაქო დასახლება	სასოფლო დასახლება	სულ	საქალაქო დასახლება	სასოფლო დასახლება	სულ	საქალაქო დასახლება	სასოფლო დასახლება	სულ	საქალაქო დასახლება	სასოფლო დასახლება	სულ	საქალაქო დასახლება	სასოფლო დასახლება
საქართველო	**3 721,9**	**2 135,6**	**1 586,3**	**3 728,6**	**2 151,5**	**1 577,1**	**3 726,4**	**2 161,9**	**1 564,5**	**3 729,6**	**2 174,8**	**1 554,8**	**3 723,5**	**2 184,3**	**1 539,1**	**3 716,9**	**2 194,5**	**1 522,4**	**3 728,6**	**2 215,6**	**1 512,9**
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტი	**1 115,7**	**1 085,6**	**30,1**	**1 132,0**	**1 101,7**	**30,2**	**1 145,5**	**1 115,1**	**30,4**	**1 158,7**	**1 128,4**	**30,3**	**1 171,1**	**1 140,7**	**30,4**	**1 184,8**	**1 154,3**	**30,5**	**1 202,7**	**1 172,0**	**30,7**
აჭარის არ	**336,6**	**187,1**	**149,5**	**340,2**	**190,1**	**150,0**	**343,0**	**192,6**	**150,4**	**346,3**	**195,2**	**151,1**	**349,0**	**197,7**	**151,4**	**351,9**	**200,6**	**151,3**	**354,9**	**203,5**	**151,4**
ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტი	155,2	155,2		158,2	158,2		160,8	160,8		163,4	163,4		166,0	166,0		169,1	169,1		172,1	172,1	

2.1.6. სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა

2.1.6.1 ავტომობილიზაციის სწრაფი (საქართველოში ამჟამად 1 228 000 მეტი ერთეული სატრანსპორტო საშუალებაა რეგისტრირებული) განვითარება და შედეგად სატრანსპორტო ნაკადების მოძრაობის ინტენსივობისა და სიმკვრივის ზრდა, განსაკუთრებულ სერიოზულ პრობლემას უქმნის ქალაქებს, რომლებშიც ავტომობილიზაციის დონეს საგრძნობლად ჩამორჩება საგზაო ქსელის ინფრასტრუქტურის განვითარება. სატრანსპორტო ნაკადების მოძრაობის ინტენსივობების, საგზაო ქსელის გამტარუნარიანობის ზღვრულ სიდიდემდე მიღწევას, მივყავართ ქალაქებში საცობების წარმოქმნამდე.

კვლევის ფარგლებში დაანგარიშებულია მოცემული საკვლევი ობიექტიდან ეკონომიკური საქმიანობისა და სხვა საჯარო სივრცეებთან დამაკავშირებელი გზების მანძილები და საჭირო დრო მათ დასაფარავად, ასე მაგალითად: სარფის საბაჟო გამშვებ პუნქტამდე მანძილია–6,2 კმ და მის დასაფარად საჭირო დრო შეადგენს მსუბუქი ავტომობილისათვის–10 წთ; ადლიის ,,გაფორმების ეკონომიკურ ზონა“–მდე მანძილი–5,9 კმ; მის დასაფარად საჭირო დრო–9 წთ; ბათუმი ცენტრალი(რკინიგზის სადგური)–14 კმ, დაფარვის დრო–27 წთ; ბათუმის ცენტრალურ ავტოსადგურამდე მანძილი–16 კმ, საჭირო დრო მის დასაფარად–31 წთ; ბათუმის საერთაშორისო აეროპორტამდე მანძილი შეადგენს–7,6 კმ–ს, მის დასაფარად საჭირო დრო–12 წთ;

2.1.6.2. საქვეითე ინფრასტრუქტურის ზოგადი აღწერა და რეკომენდაციები

საპროექტო ტერიტორიის მოსაზღვრედ არსებული საქვეითე და სამანქანე ინფრასტრუქტურა მოსაწესრიგებელია: მისასვლელი სამანქანო გზა წარმოადგენს გრუნტის ზედაპირს და შესაბამისად ტროტუარები არ არის გამოყოფილი. პროექტით იქგეგმება მიმდებარე ტერიტორიის მოწესრიგება, საპროექტო ტერიტორიიდან მთავარ გზამდე, რომელზეც დაგებულია ასფალტი და მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია, ამასთან პარამეტრები იძლევა საშუალებას სამომავლოდ სრულყოფილი საქვეითე ტროტუარის მოსაწყობად.

საპროექტო ობიექტს საფეხმავლო მისაწვდომობის ფარგლებში გააჩნია ყველა საჭირო საყოფაცხოვრებო ფუნქციის მქონე ობიექტი. მიმდებარე ტერიტორია მდიდარია სარეკრეაციო გამწვანებული სივრცეებით (სკვერი, ბულვარი), ასევე იქვეა სანაპიროც და მრავალი ტურისტული და არამხოლოდ ტურისტული მიზიდვის ობიექტი. ფაქტობრივი მდგომარეობით და ასევე პროექტის განხორციელების შემდგომ მაცხოვრებელთა გადაადგილება განხორციელდება უმეტესად ფეხით და ნაკლებად გამოიყენებენ ავტომობილს რაც სატრანსპორტო ნაკადების დატვირთვაზე დადებითად აისახება.

მიმდებარე ქუჩებზე რეკომენდირებულია მინიმუმ 1,5 მ სიგანის ტროტუარების მოწყობა გზის ერთ მხარეს მაინც. მიმდებარე მიწის ნაკვეთების ან/და ობიექტების შესასვლელებზე რეკომენდირებულია ზებრა გადასასვლელების მონიშვნა, ასევე საქვეითე ინფრასტრუქტურა სრულად ადაფტირდეს შშმ პირთათვის. რეკომენდირებულია მიმდებარე მიწის ნაკვეთების ან/და ობიექტების სამანქანე შესასვლელ/გამოსასვლელების სიგანისთვის განისაზღვროს არანაკლებ 3,5 და არაუმეტეს 6 მეტრი. ქვეითთა უსაფრთხოდ გადასაადგილებლად მნიშვნელოვანია, რომ ის ძირითადად გადაადგილდებოდეს კონსტრუქციულად გამოყოფილ ტროტუარზე და რამდენადაც შესაძლებელია, ნაკლები მანძილის დაფარვა უწევდეს სამანქანე სავალი ნაწილის, სამანქანე შესასვლელ/გამოსასვლელების გადაკვეთისას. მნიშვნელოვანია, რომ ნებისმიერი საქვეითე გადაკვეთის ლოკაციის შესახებ გაფრთხილდეს გადამკვეთი სამანქანო ნაკადი შესაბამისი საგზაო ნიშნებით.

ზემოხსენებული რეკომენდაციები გათვალისწინებულია საპროექტო ტერიტორიისთვის და შესასვლელ/გამოსასვლელი მკაცრად რეგულირდება საგზაო ნიშნებით. საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით, გაცნობებთ, რომ ის ვითარდება მიმდებარე ტერიტორიების განაშენიანებასთან ერთად, შესაბამისად წარმოდგენილი არქიტექტურული პროექტი არის იდეალური ვარიანტი მიმდებარე ტერიტორიის განვითარების მიმდინარე პროცესებისთვის. რაც, მთავარია მიმდებარე ტერიტორიებს გააჩნია საკმარისი რესურსი სრულყოფილი საქვეითე/სამანქანე ინფრასტრუქტურის მოსაწყობად.

2.1.6.3 სამანქანე მოძრაობის ზოგადი აღწერა და რეკომენდაციები

წმინდა ანდრია პირველწოდებულის ქუჩა წარმოადგენს საერთო სარგებლობის, ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზას. სამანქანე სავალი ნაწილის ზედაპირი წარმოადგენს ასფალტს. ზედაპირის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. მოძრაობა ორმხრივია და თითოეული მიმართულებისთვის განსაზღვრულია 1 სამოძრაო ზოლი. გზაზე დატანილია შესაბამისი ჰორიზონტალური მონიშვნები, მონიშნულია ზებრა გადასასვლელიც და დამონტაჟებულია საგზაო ნიშნები. სამანქანო მოძრაობის მხრივ გზა მოწესრიგებული და მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.

ზემოხსენებული ქუჩიდან საპროექტო ტერიტორიასთან დამაკავშირებელი გზის ნაწილი მოასფალტებულია და მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია, ხოლო დარჩენილი ნაწილი დაგეგმილი პროექტის რეალიზებასთან ერთად მოწესრიგდება.

ქუჩის დაბალი სამანქანე გამტარუნარიანობისა და სამომავლოდ ინტენსიური ქვეითთა გადაადგილების გათვალისწინებით, ობიექტიდან გამომავალი და შემავალი ავტომანქანებისათვის საჭიროა მკაცრი საგზაო რეგულაციების დაწესება, კერძოდ, საპროექტო და მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე შესასვლელად ავტოსატრანსპორტო საშუალებას მოუწევს გადაკვეთოს საფეხმავლო ტროტუარი, სადაც ინტენსიურად გადაადგილდება ქვეითად მოსიარულე, განსაკუთრებით ზაფხულის თვეებში, როცა მკვეთრად იზრდება ტურისტული ნაკადები, ამიტომ უსართხოების მიზნით აუცილებელია მოეწყოს შესაბამისი საგზაო ნიშნები. სამომავლოდ რაიმე შეფერხებების მაქსიმალურად თავიდან აცილების მიზნით საჭიროა სწორად იქნას დაპროექტებული ტროტუარზე მანქანის შესასვლელი არეალი, რათა ავტომობილს მოუწიოს რაც შეიძლება ნაკლებად დამაბრკოლებელი მანევრის შესრულება.

ზემოხსენებული გათვალისწინებულია საპროექტო ობიექტისთვის. შესასვლელად განსაზღვრულია 5,5 მეტრის სიგანის 2 ზოლიანი სამანქანე შესასვლელები (შიდა გზები) შესაბამისი მანევრის განსახორციელებელი პარამეტრების დაცვით. სამანქანო შესვლა/გამოსვლა განხორციელდება მკაცრად მარეგულირებელი საგზაო ნიშნებით. იმის გათვალისწინებით, რომ ყველა შემთხვევაში რეკომენდირებულია პარკირებები მოეწყოს ისე, რომ პრიორიტეტი მიენიჭოს ქვეითს და არ გახდეს ფეხით მოსიარულეთა შემაფერხებელი გარემოება, პროექტით დაიგეგმა თითოეული საცხოვრებელი ობიექტისთვის (საპროექტო ტერიტორიის ზონაში) განსაზღვრული პარკირებების ნაკვეთების შიგნით განთავსება და გარე პარკირებები გამოირიცხა. ასევე დამატებით დაპროექტდა გარე პარკირების ზონის განთავსება დამატებითი საპარკინგე რესურსის გასაჩენად. დაპროექტებული შიდა გამჭოლი გზები უზრუნველყოფს სამანქანე ნაკადების სრულყოფილ გადანაწილებას, ასევე დასახლებულ ზონაში ნებადართული არ არის უცხო პირთა შესვლა (მძღოლი გაფრთხილებულია შესაბამისი საგზაო ნიშნით), მოძრაობის სიჩქარე შეზღუდულია. სამანქანე/საქვეითე გადაადგილებები განხორციელდება უსაფრთხოდ და მოწესრიგებულად.

დაგეგმილია 30 საპროექტო ტერიტორიის შიდა და 62 გარე საპარკინგე ადგილის მოწყობა.

2.1.6.4 საზოგადოებრივი ტრანსპორტის მომსახურება

საკვლევი საამშენებლო ობიექტი უზრუნველყოფილია საზოგადოებრივი ტრანსპორტის მომსახურებით. საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ საფეხმავლო მისაწვდომობის ფარგლებში საშუალოდ 300 მეტრში (5-7 წთ საფეხმავლო მანძილზე) მდებარეობს საზ. ტრანსპორტის გაჩერებები, სადაც ავტობუსები მოძრაობენ საშუალო დატვირთულობით პანდემიის პერიოდში, ხოლო ტურისტულ სეზონზე სრული დატვირთვით. მარშრუტების გადახედვის შედეგად ირკვევა, რომ მგზავრებს შეუძლიათ ყველა საჭირო მიზიდვის ობიექტამდე უპრობლემოდ გადაადგილება ზედმეტი გადაჯდომების გარეშე. მუნიციპალური ავტობუსები ასრულებენ რეგულარულ რეისებს დადგენილი გრაფიკების მიხედვით შემდეგ მარშრუტზე: N16. მოცემული ობიექტის მიმდებარედ, უახლოესად 296 და 313 მეტრში განთავსებულია ავტობუსის გაჩერების მიმანიშნებელი საინფორმაციო დაფები და მგზავრთა მოსაცდელები. აღნიშნული ნომრის ავტობუსებს შორის ინტერვალი მერყეობს საშუალოდ 20–დან 22 წუთამდე. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ტურისტულ სეზონზე ხდება ავტობუსების რაოდენობის ზრდა და შესაბამისად ავტობუსებს შორის ინტერვალის შემცირება.

დეტალურად იხ. რუკა # 22.

2.1.6. ტექნიკური ინფრასტრუქტურა

საველე კვლევის შედეგად დადგინდა რომ გეგმარებითი ერთეულის არეალში გაზმომარაგების, ელ.მომარაგების, წყლისა და კანალიზაციის ქსელური სისტემა არ არსებობს, მაგრამ საველე კვლევისა და საჯარო რეესტრის მონაცემებზე დაყრდნობით დგინდება რომ, ტერიტორიის მიმდებარედ გადის მაღალი ძაბვის 35/6/10 კვტ. ელ გადამცემი ხაზები, ასევე გეგმარებითი ერთეულიდან 300 მეტრის რადიუსში მდებარეობს მინიმუმ ორი სატრანსფორმატორო ქვესადგური. ტერიტორია უშუალოდ ემიჯნება ძირითად გაზმომარაგებისა, წყალარინებისა და მშენებარე წყალმომარაგების ქსელს რაც შესაბამის სამსახურებთან შეთანხმებით იძლევა საშუალებას მინიმალური დანახარჯებით განხორციელდეს მაგისტრალში ჩართვა. სუსტი დენები (კავშირგაბმულობა და ტელეკომუნიკაცია) უშუალოდ საპროექტო ტერიტორიაზე არ გადის მაგრამ მისი დაერთება შესაძლებელია წმინდა ანდრია პირველწოდებულის გზატკეცილის მიმდებარედ გამავალ ოპტიკურ ბოჭკოვან ხაზზე.

გეგმარებითი ერთეულის გაზმომარაგების, ელ.მომარაგების, წყლისა და კანალიზაციის მომარაგებასთან დაკავშირებით შესაბამის უწყებებში გაგზავნილია წერილები საკომუნიკაციო ქსელებზე შესაძლო დაერთების ადგილების მოთხოვნით რაც წარმოდგენილი იქნება მომდეგნო ეტაპზე, ხოლო მოთხოვნილი პიკური საანგარიშო სიმძლავრეები წინა საპროექტოკვლევებზე დაყრდნობით შემდეგნაირია:

ცხრილი #2

მოთხოვნილი სიმძლავრეები	
ელ.მომარაგება	140 კვტ/სთ.
წყალ მომარაგება	55.5 კბ.მ/დღ/ღ.
გაზ მომარაგება	65,3 კბ.მ/სთ.

2.1.6.1 წყალმომარაგება

ეგმარებითი ერთეულის წყალმომარაგებისა და წყალარინების მომარაგების მიზნით ჩატარდა კვლევა რის შედეგადაც დადგინდა რომ წყალმომარაგების გამანაწილებელი ქსელი არ არსებობს, შესაბამისის სამსახურების ცნობით დადგინდა გონიოს წყალმომარაგების არსებული პროექტის შესაბამისად შპს „გონიო 2020“-ის მახლობლად დაგეგმილია დ110მმ-იანი წყალმომარაგების გამანაწილებელი ქსელის მშენებლობა საიდანაც შესაძლებელია მომარაგდეს ობიექტი.

სრულად იხ. დანართი # 6 და ფურც. _23 წყალმომარაგება

2.1.6.2 გაზმომარაგება

საკვლევი ტერიტორიის მომავალი გაზიფიცირების პროგრამის შემუშავებისა და სწორად დაგეგმვის მიზნით გაანალიზებული იქნა მიმდებარედ არსებული გაზმომარაგების ქსელის გეგმარება და გაზის მოცულობის მიწოდების შესაძლებლობის პოტენციალი.

სრულად იხ. დანართი # 7 და ფურც. 24 გაზმომარაგება

2.1.6.3 ელმომარაგება

საკვლევი ტერიტორიის ელ.ენერგიით მომარაგების მიზნით საველე კვლევის შედეგად გაანალიზებული იქნა მიმდებარედ არსებული ელ.ქსელის ხაზობრივი ნაგებობების ადგილმდებარეობა და მათი სიმძლავრეები, რის შედეგადაც დადგინდა რომ საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ გადის 35 კვტ-იანი მაღალი ძაბვის და 6/10 კვტ-იანი ძალოვანი ძაბვის ხაზები რომელებსაც გააჩნიათ გასხვისების ზონები, კერძოდ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის #366 დადგენილების „ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობების დაცვის წესი და მათი დაცვის ზონები“-ს მე-3 მუხლის 1-ლი ნაწილის ,,ა.ა.დ.”; ,,ა.ა.ე.” და ,,ა.ა.ვ.” პუნქტების თანახმად, 0.4 კვ ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის დაცვის ზონად ხაზის ორივე მხარეს განაპირა სადენებიდან მათი გადაუხრელ მდგომარეობაში ყოფნისას დადგენილია 2 მეტრი, 10 კვ ძაბვის სეგ ხაზისათვის დაცვის ზონაა 10 მეტრი, ხოლო 35 კვ ძაბვის სეგ ხაზისათვის დაცვის ზონაა 15 მეტრი,. ამავე დადგენილების მე-4 მუხლის თანახმად ელექტროგადამცემი ხაზის დაცვის ზონაში აკრძალულია ნებისმიერი ქმედება, რომელსაც შეუძლია გამოიწვიოს ელექტრული ქსელის ხაზობრივი ნაგებობის ნორმალური ფუნქციონირების მოშლა, მათ შორის შენობა-ნაგებობის, ხიდების, კოლექტორების, გვირაბების, საავტომობილო გზებისა და რკინიგზის რეკონსტრუქცია, ან/და მშენებლობა ელექტროგადამცემი ხაზის დამცავი ღონისძიებების გატარების ან მისი წინასწარი გადატანის გარეშე.

გეგმარებით ერთეულზე დაგეგმილი ელიტარული ვილების მშენებლობის პროექტირებისას შენობა ნაგებობების უსფრთხოდ განლაგებისთვის გათვალიწინებული იქნება ზემოთ აღნიშნული შეზღუდვები, გრაფიკული მასალა იხილეთ გდგ ინიცირების ალბომის გრაფიკულ ნაწილში (იხ. საბაზისო რუკა 1 ფურც.12) . აქვე წარმოდგენილია მომავალი სიმძლავრეების ანგარიში .

სრულად იხ. დანართი # 8 და ფურც. 21_ ელ.მომარაგება

2.1.7. *ბუნებრივი ფასეულობები*

საქართველოს შავი ზღვის სანაპირო კურორტებიდან ერთ-ერთი პოპულარულია გონიო. გონიოს კლინმატი სასარგებლოა ისეთი დაავადებებისთვის, როგორიცაა გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, რკინადეფიციტური ანემია და ენდოკრინული დაავადებები.

შავი ზღვის კურორტი საუკეთესოა. უცხოელი ვიზიტორებისთვისაც ეს ადგილი ერთ-ერთი ყველაზე პოპულარულია თავისი ადგილმდებარეობითა და რეკრეაციული ზონით, სადაც ზღვისა და მთის ჰაერი ერთ-მანეთს ერწყმის. დამსვენებელს აქ მთებით შემოსაზღვრული სანაპირო, ულამაზესი ბუნება, ზღვის თბილი, გამჭვირვალე წყალი და მშვიდი ყურე, დაივინგის მოყვარულებს კი - ღრმა ფსკერი. ბოლო წლებში გონიო-კვარიათში აშენდა უამრავი სასტუმრო და საოჯახო სასტუმრო, რომელთაგან ზოგი ზღვის პირას მდებარეობს, ზოგიც ფერდობებზეა შეფენილი.

მდებარეობა: შავი ზღვის სანაპირო, მდ. ჭოროხის მარცხენა მხარე.

მანძილი: ბათუმის ცენტრიდან - 15კმ, თბილისიდან - 380კმ.

სიმაღლე ზღვის დონიდან: 30 მ.

რელიეფი: მთაგორიანი

კლიმატი: კლიმატი საშუალო წლიური ტემპერატურა 14,8 0C, იანვარში - 6,5 0C, აგვისტოში - 23,4 0C. სანაპირო ზოლში კარგად არის გამოხატული ბრიზები.

ნალექების წლიური რაოდენობა: 2400 მმ.

საშუალო წლიური ფარდობითი ტენიანობა: 79%. ხშირია კოკისპირული წვიმა.

ზღვის წყლის საშუალო წლიური ტემპერატურა ნაპირთან 16,70C-ია.

ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორები: ზღვისპირა ნოტიო სუბტროპიკული ჰავა და ზღვის წყალი.

მკურნალობის სახეობა: ჰაერისა და მზის აბაზანები, ბანაობა ზღვაში.

სამკურნალო ჩვენებები: ნერვული სისტემის და გულსისხლძარღვთა დაავადებები.

სრულად იხ. დანართი # __ სკრინინგის ანგარიში

2.1.8 კულტურული ფასეულობები

საკვლევ ტერიტორიაზე არ არსებობს კულტურის უძრავი ძეგლები. ტერიტორია ასევე მწირია კულტურული ფასეულობებითაც. საპროექტო ტერიტორია მდებარეობს გონიოს ციხის არქიტექტურულ არქეოლოგიური ზონის მიმდებარედ 194,0 მეტრით დაშორებაში. ჩვენს შემთხვევაში კულტურული ფასეულობების მიმართ კვლევები ჩატარებული არაა.

(იხილეთ ილ. # 1).

ილუსტრაცია # 1



2.1.9. გეომორფოლოგია და ჰიდროლოგია

შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს ფორმირების გეოლოგიური წარსული დიდად განაპირობებს მის დღევანდელ საინჟინრო-გეოლოგიურ პირობებს, რომელიც წარმოადგენს მრავალი გეოლოგიური ფორმაციის, გეომორფოლოგიური ფორმების, ტექტონიკური სტრუქტურების, შავი ზღვის სანაპიროს უახლესი მოძრაობებისა და მათგან გამოწვეული სანაპირო ზოლის გადამუშავების ერთობლიობას, რაც ზემოქმედებას ახდენს ტალღების ინტენსიურ მოქმედებაზე. შავი ზღვის აღმოსავლეთი სანაპიროს წარმოშობა და მისი მატერიკად გარდაქმნის პირველი ნიშნები პლიოცენამდელ ეპოქას მიეკუთვნება. ამ პერიოდში ისახება კოლხეთის დაბლობის თანამედროვე სახე. მისი პირველი ნიშნები და ფორმები სარმატული პერიოდის ნეოტექტონიკურ მოძრაობებს უკავშირდება, რომლის დროსაც კოლხეთის დაბლობს ჩრდილოეთიდან უკვე კარგად ფორმირებული კავკასიონის ქედი ესაზღვრებოდა, სამხრეთიდან კი აჭარა-თრიალეთის ახლად წარმოქმნილი მთათა სისტემები. პლიოცენ-პლეისტოცენის პერიოდი აღინიშნება გვიანი ოროგენეზული სტადიების განვითარებით, რომლის დროსაც კიდევ უფრო მკაფიო ხდება თანამედროვე კოლხეთის დაბლობისა და მისი მიმდებარე ტერიტორიების ამჟამინდელი ფორმეების გამოსახვა. ამ ეპოქაში იწყება კოლხეთის დაბლობის დაძირვა და შევსება მიმდებარე მთათა სისტემებიდან დენუდირებული მასალით, რომლის სიმძლავრე 1,5-2,0 კმ აღწევს. პლეისტოცენური ეპოქის ბოლოს კი ადგილი აქვს მნიშვნელოვან რეგრესიას (-60.0 მ), რამაც ეს პროცესები კიდევ უფრო გააძლიერა. ამ პერიოდთანაა დაკავშირებული ზღვის უძველესი ტერასების წარმოქმნა, რომლებიც მხოლოდ ფრაგმენტების სახითაა დღეს შემორჩენილი. ამ ეპოქის ბოლოს კოლხეთის დაბლობმა და მისმა მიმდებარე არემ თანდათან ის სახე მიიღო, რომელიც დღეს მას გააჩნია. მეოთხეული პერიოდის განმავლობაში მას მნიშვნელოვანი ცვლილებები (გეოლოგიური გაგებით) არღარ განუცდია. წარსულში მიმდინარე გეოლოგიურმა გარდაქმნებმა ჩამოაყალიბეს ის ბუნებრივი ფაქტორები, რომლებიც დღეს განაპირობებენ საკვლევი ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიურ პირობებს. ესენია: კლიმატი, გეომორფოლოგია, გეოლოგიური აგებულება, ტექტონიკა, სეისმური პირობები და ჰიდროგეოლოგი

2.1.10 კლიმატი

ზოგადი კლიმატური მონაცემები

აჭარის ზღვისპირეთში სუბტროპიკული ჰავაა. აქ თბილი ზამთარი და ცხელი ზაფხული იცის. შავი ზღვის სანაპირო ზოლი ჭარბტენიანია, ვიდრე აჭარის მაღალმთიანი რაიონები. მაღალმთიანი რაიონები დიდთოვლიანობით გამოირჩევა, რომელიც ზოგჯერ რამოდენიმე მეტრს აღწევს. სწორედ ამიტომ ზაფხულში ტემპერატურა უფრო დაბალია 22-24°C დაბლობში და 17-21°C მაღლობში. ხოლო, ზამთრში ბათუმში ტემპერატურა 4-6°C, როცა მაღალმთიან რაიონებში 3-2°C აღწევს.

ბათუმის ბუნება ზღვის ნოტიო სუბტროპიკული ჰავითაა გამორჩეული. იცის თბილი, უთოვლო ზამთარი და თბილი ზაფხული. საშუალო წლიური ტემპერატურაა 15°C, იანვარში - 7°C, აგვისტოში - 23°C. ნალექები - 2.560 მმ წელიწადში. შეფარდებითი სინოტივე - 81%. ხშირია კოკისპირული წვიმა. თოვლი იშვიათად მოდის და მალე დნება. ზღვის წყლის საშუალო წლიური ტემპერატურა ნაპირთან 17°C-ია. სანაპირო ზოლში კარგად არის გამოხატული ზღვის ბრიზები, რის გამოც სიცხე ნაკლებად შეიგრძნობა. ბათუმის ტერიტორიაზე მდებარეობს ბუნებრივი ტბა, რომელიც ამჟამად ბათუმის 6 მაისის პარკის ნაწილია. ქალაქსა და მის მიდამოებში გავრცელებულია მრავალნაირი სუბტროპიკული მცენარე. ჭარბობს ხელოვნურად გაშენებული პარკები, ჩაის პლანტაციები და ციტრუსოვანთა ნარგავები. გორაკ-ბორცვებზე აქა-იქ შემორჩენილია კოლხური ბუნებრივი ტყე და ბუჩქნარი.

საკვლევი უბნის ტერიტორია ნოტიო სუბტროპიკული ჰავით, თბილი ზამთრითა და ცხელი ზაფხულით ხასიათდება. იგი საამშენებლო-კლიმატოლოგიური (სნ. და წ. პნ. 01.05-08 „საამშენებლო კლიმატოლოგია“) დარაიონების მიხედვით IIIბ ქვე-რაიონში შედის. ***(იხილეთ ილ. # 2).***



ილ. # 2.

ქვემოთ ცხრილებისა და რუკების სახით ნაჩვენებია მრავალწლიანი დაკვირვებების მონაცემები როგოებიცაა: ქარის, ტემპერატურის, ნალექების, ტენიანობისა და ელჭექის მონაცემები, ასევე წარმოდგენილია იმიტირებული ამინდის დიაგრამები რომლებიც შედგენილია საიტიდან: **https://www.meteoblue.com**

ცხრილი 3.4.1

ქარის საშუალო თვიური და წლიური სიჩქარეები (მ/წმ) აჭარის სანაპიროზე

სადგური/თვე	I	II		III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	საშ. წლ.
ბათუმი	6.8	5.3		4.8	4.2	2.4	3.4	2.8	2.8	2.8	4.6	3.5	6.9	4.4

ქარის სხვადასხვა მნიშვნელობების ალბათობა მოცემულია ცხრილში 1.4.2 ხოლო ზლიერი ქარების ხანგრძლივობა დღეებში - ცხრილში 3.4.3.

სხვადასხვა სიჩქარის ქარის ალბათობები (%)

ცხრილი 3.4.2

თვე	ქარის სიჩქარეთა გრადაციებიმ/წმ						
	0 _ 2	3 _ 5	6 _ 8	9 _ 11	10 _ 14	15 _ 17	> 18
I	58.2	29.9	5.5	3.8	1.6	0.7	0.3
IV	66.5	28.0	3.6	1.2	0.5	0.2	_
VII	71.9	25.6	2.3	0.2	0.1	_	_
X	67.5	27.2	3.4	1.3	0.3	0.2	0.1

შკვალის ტიპის ძლიერი ქარების სიჩქარე შეიძლება აღწევდეს 28-30 მ/წმ-ს, იშვიათად – 36 მ/წმ (მდ.ჭოროხის ხეობა).სანაპიროზე ხშირია დღეღამური ბრიზები, რომლებიც მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ჰაერის ცირკულაციაში. სხვადასხვა მიმართულების ქარების საშუალო წლიური განმეორებადობა მოცემულია ცხრილში 3.4.4

სხვადასხვა მიმართულების ქარების საშუალო წლიური განმეორებადობა

ცხრილი3.4.4

რუმბი/სად.	ჩრდ.	ჩრდ.აღ	აღ	სამ.აღ	სამხ.	სამ.დას	დას.	ჩრდ.დას	შტილი
საზღვაო	9	8	11	13	12	24	14	9	18
სახმელეთო	4	1	3	54	2	20	11	5	19

აჭარა საქართველოს ყველაზე თბილი რეგიონია. ზღვის სანაპიროზე ჰაერის საშუალო ტემპერატურა მერყეობს იანვარში _ 6.50-დან 7.00-მდე – აგვისტოში 220-240–ის ფარგლებში

ჰაერის ტემპერატურის საშუალო მრავალთვიური და მრავალწლიური მნიშვნელობები

ცხრილი 3.4.5

სადგ/თვე	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	wl
ქობულეთი	4.8	5.5	7.6	10.9	15.4	19.5	22.4	22.6	19.5	15.4	10.7	6.7	13.4
ჩაქვი	6.2	6.5	8.3	11.5	15.7	19.6	22.2	22.6	19.7	16.1	12.0	8.4	14.1

ბათუმი (ქალაქი)	7.1	7.2	8.4	11.5	15.8	20.0	22.8	23.2	20.3	16.6	12.0	8.6	14.5
ბათუმი (ჰიდრომეტ სადგური)	6.5	6.8	8.7	11.7	15.8	19.5	22.1	22.6	19.3	16.5	12.4	8.9	14.3
ბათუმი (შუქურა)	6.7	6.7	8.2	11.3	15.9	20.2	22.9	23.1	20.1	16.2	12.1	9.0	14.4

ჰაერის ტემპერატურის აბსოლუტური მინიმუმი -100-ზე დაბლა არ ჩამოდის, აბსოლუტური მაქსიმუმი შეიძლება აღწევდეს +400-ს. (ჯავახიშვილი, 1979).

სანაპირო ზონაში ზღვის ზედაპირული წყლის საშუალო წლიური ტემპერატურა. შეადგენს 140-150-ს, ზაფხულში 230-240-ს. აბსოლუტური მაქსიმუმი დაფიქსირებულია აგვისტოში და ტოლია 27.50-28.00. აბსოლუტური მინიმუმი – თებერვალში – +7.50. საშუალოთვიური ტემპერატურები მოცემულია ცხრილში 3.4.6.

წყლის საშუალოთვიური ტემპერატურები სანაპირო ზონაში

ცხრილი 3.4.6

Tve	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII
t c^0	9.7	8.9	8.5	8.8	13.2	32.8	24.1	25.0	23.8	19.8	15.0	10.0

აჭარა ყველაზე უხვნალექიანი რეგიონია საქართველოში. ზღვის სანაპიროზე ნალექიანი დღეების რიცხვი შეადგენს დაახლოებით 170. ნალექების რაოდენობის სეზონური გადანაწილება პროცენტებში მოცემულია ცხრილში 3.4.7.

ნალექების საშუალო მრავალწლიური სეზონური რაოდენობა (%)

ცხრილი 3.4.7

ზამთარი	გაზაფხული	ზაფხული	შემოდგომა
27	14	23	36

მათი საშუალო თვიური და საშუალო წლიური განაწილება რაიონების მიხედვით მოცემულია ცხრილში 3.4.8

ნალექების საშუალო მრავალწლიური და მრავალთვიური მნიშვნელობები (მმ)

ცხრილი 3.4.8

ბათუმი													
ნორმალური													
მაღალი	247	203	160	113	85	152	174	248	321	291	284	253	2531
დაბალი	522	490	324	238	215	524	407	629	703	703	854	508	3943
	51	29	20	13	5	40	24	54	47	19	20	27	1659

თავსხმაწვიმიანი დღეების მეტი ნაწილი, როდესაც წვიმების ინტენსიობა აღემატება 0.5 მმ/წთ, აღინიშნება მახინჯაურში _ 23.1 დღე/წელი. თავსხმა წვიმები შეადგენენ ნალექების საერთო ჯამის 30-40 %, ხოლო მათი ხანგრძლივობა საშუალოდ 8- 10% (ჯავახიშვილი, 1979).

ზღვის სანაპიროზე და მიმდებარე ტერიტორიაზე (200 მ სიმაღლემდე) მყარი ნალექების წილი ნალექების საერთო ჯამის 2-10% შეადგენს.

ელჭექებს ძირითადად ადგილი აქვთ ზაფხულის თვეებში. მათი განაწილებაწლის განმავლობაში მოცემულია ცხრილში 3.4.10.

ელჭექიანი დღეების მაქსიმალური რიცხვი თვეების მიხედვით

ცხრილი 3.4.10

I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	წლიური
3	4	2	3	6	14	14	13	14	8	5	5	52

აჭარაში ჰაერის ფარდობითი ტენიანობის სიდიდე ნაკლებად ცვალებადია სეზონურ ჭრილში. ზამთარში, გაბატონებული აღმოსავლეთის მშრალი ქარების დროს, იგი მცირდება, ხოლო ზაფხულში, დასავლეთის ნოტიო ქარების პირობებში _ იზრდება (ცხრილი 3.4.11).

ჰაერის საშუალო თვიური და წლიური ფარდობითი ტენიანობა (%)

ცხრილი 3.4.11

სადგური	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	წლიური
ბათუმი	74	77	80	80	81	78	78	80	82	83	80	73	79

აჭარის სანაპიროზე ნისლიანობა შედარებით დაბალია: ზამთარში მისი საშუალო ხანგრძლივობა შეადგენს 14 საათს, ხოლო ზაფხულში _ 13 საათს (ჯავახიშვილი, 1979).

სქემა 1 საქართველოს საკურორტო-კლიმატური დარაიონება



სქემა 2 დასავლეთ საქართველოს ტემპერატურული დახასიათებია



სქემა 3 დასავლეთ საქართველოს კლიმატური დარაიონება



სქემა 4 მზის ინსოლიაცია დასავლეთ საქართველოში



სქემა 5 ნალექების განაწილება



სქემა 6 ქარის საშუალო სიჩქარეები დასავლეთ საქართველოში

გონიოს კლიმატი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა, საქართველო, 41.56 ° C 41.57 ° ბ ზღვის დონიდან 41 მ

კლიმატის მეტეობლური დიაგრამები ემყარება 30 წლის საათობრივ ამინდის მოდელს და ხელმისაწვდომია დედამიწის ყველა ადგილისთვის. ისინი კარგ მინიშნებებს ახდენენ კლიმატის ტიპური ტიპების და მოსალოდნელი პირობების (ტემპერატურა, ნალექები, მზიანი და ქარი) შესახებ. იმიტირებული ამინდის მონაცემებს აქვთ სივრცული რეზოლუცია დაახლოებით 30 კმ და შეიძლება არ აწარმოონ ადგილობრივი ამინდის ყველა ეფექტი, როგორიცაა ელჭექი, ადგილობრივი ქარი ან ტორნადო და ადგილობრივი განსხვავებები, რადგან ეს ხდება ურბანულ, მთიან ან სანაპირო ზონებში.

საშუალო ტემპერატურა და ნალექები



"მაქსიმალური საშუალო დღიური ტემპერატურა" (მყარი წითელი ხაზი) მიუთითებს მაქსიმალურ საშუალო ტემპერატურაზე თვის ცალკეული დღეებისთვის გონიოში. ანალოგიურად, "მინიმალური საშუალო დღიური ტემპერატურა" (მყარი ლურჯი ხაზი) მიუთითებს მინიმალურ საშუალო ტემპერატურაზე. ცხელი დღეები და ცივი ღამეები (გაწითლებული წითელი და ლურჯი ხაზები მიუთითებს საშუალო ტემპერატურაზე ყოველი თვის ყველაზე ცხელ დღეს და ყველაზე ცივ ღამეს 30 წლის განმავლობაში. ცივ დღეებში ნაგულისხმევი პარამეტრები არ შეიცავს ქარის სიჩქარის მაჩვენებლებს.

მოღრუბლული, მზიანი და წვიმის დღეები



დიაგრამაზე მითითებულია მზიანი, ნაწილობრივ მოღრუბლული და ნისლიანი დღეების, აგრეთვე ნალექების დღეების რაოდენობა. დღეები, როდესაც ღრუბლის ფენა არ აღემატება 20% -ს, ითვლება მზიანი; საფარის 20-80% ნაწილობრივ მოღრუბლულია, ხოლო 80% -ზე მეტი მოღრუბლულია.

მაქსიმალური ტემპერატურა



გონიოს მაქსიმალური ტემპერატურის სქემა აჩვენებს თვეში რამდენი დღე აღწევს გარკვეულ ტემპერატურას.

მოღრუბლული, მზიანი და წვიმის დღეები



დიაგრამაზე მითითებულია მზიანი, ნაწილობრივ მოღრუბლული და ნისლიანი დღეების, აგრეთვე ნალექების დღეების რაოდენობა. დღეები, როდესაც ღრუბლის ფენა არ აღემატება 20% -ს, ითვლება მზიანი; საფარის 20-80% ნაწილობრივ მოღრუბლულია, ხოლო 80% -ზე მეტი მოღრუბლულია.

მაქსიმალური ტემპერატურა



გონიოს მაქსიმალური ტემპერატურის სქემა აჩვენებს თვეში რამდენი დღე აღწევს გარკვეულ ტემპერატურას.

ნალექები



ნალექების დიაგრამა გონიოსთვის აჩვენებს, თუ რამდენ თვეში მიიღწევა ნალექის გარკვეული რაოდენობა.

ქარის სიჩქარე



გონიოს დიაგრამა გვიჩვენებს თვეების დღეებს, რომელთა დროსაც ქარი აღწევს გარკვეულ სიჩქარეს.

ქარის სიჩქარის ვარდი



ქარის ვარდი გონიოსთვის მიუთითებს წელიწადში რამდენ საათზე ქარი მიდის მითითებული მიმართულებით.

2.1.11 სეისმოლოგია გეოლოგია

საპროექტო ტერიტორიის ზოგადი მახასიათებლები

(ადგილმდებარეობა, საზღვრები, მორფოლოგია, ზოგადი გეოლოგიური სტრუქტურა)

მშენებლობისთვის განკუთვნილი ტერიტორია მდებარეობს შავი ზღვის სანაპირო ზოლში დასავლეთისა და ჩრდილო-დასავლეთის მხრიდან ესაზღვრება ზღვის სანაპირო ზოლის საზღვარი ხოლო დანარჩენი მხრიდან ესაზღვრება ქალაქის კვარტალური განაშენიანება.

მორფოლოგიის თვალსაზრისით, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს საზღვაო ტერასთან, რომლის აბსოლუტური სიმაღლეები 2.5 მ-დან 2.8 მ-მდე (ბალტიის სიმაღლეთა სისტემაში).

საარქივო მონაცემებით, ტერიტორია შედგება თანამედროვე ზღვის ქვიშა, ხრეში-კენჭოვანი და თიხნარი ნიადაგები, რომლებიც ყველგან არის დაფარული თანამედროვე ტექნოლოგიური ნიადაგების მიერ. გეომორფოლოგიურად ბათუმის დასავლეთ პერიფერიულ ნაწილში. ზღვის სანაპიროდან 100 მეტრში საპროექტო ტერიტორიას საკვლევი უბნის რელიეფი წარმოადგენს აკუმულაციური ტიპის რელიეფს, რომელიც შექმნილია ზღვის ტრანსგრესია-რეგრესიის მოქმედების შედეგად. გეოლოგიურად საკვლევი ტერიტორია აგებულია მეოთხეული ასაკის, ალუვიურ-ზღვიური გენეზისის ქვიშოვანი და ხრეშოვანი გრუნტებით.

საქართველოს ტერიტორიის სეისმური დარაიონების მიხედვით, სნ და წ ,,სეისმომედეგი მშენებლობა (პნ 01.01.09). საკვლევი ტერიტორია მიეკუთვნება 7 (შვიდი) ბალიანი სეისმურობის ზონას. *(იხილეთ ილ. # 3).*

სეისმური საშიშროების რუკა
მაქსიმალურ ჰორიზონტულ აჩქარებასა და ბალებში



- მონაცემები მოცემულია რაიონის კლიმატური პირობების შესახებ სნ და წ (,,სამშენებლო კლიმატოლოგია", პნ 01.05-08)-ზე დაყრდნობით:

1.ჰაერის აბსოლუტური მინიმალური ტემპერატურა ..... _80 ჩ;
2.Нჰაერის აბსოლუტური მაქსიმალური ტემპერატურა..... + 400 ჩ;
3. ჰაერის შეფარდებითი ტენიანობა (საშუალო წლის განმავლობაში) 79%;
4. ნალექების რაოდენობა წელიწადში ..... 2685 მმ;
5. ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა..... +14,40 ჩ;
6. ნალექების რაოდენობა დღე-ღამეში ..... 231 მმ;
7. თოვლის საფარის წონა ..... 0,5 კპა;
8. ირიბი წვიმების რაოდენობა წელიწადში ..... 1316 მმ;
9. თოვლის საფარის დღეთა რიცხვი 10
10. ქარის წნევის ნორმატიული მნიშვნელობები:
5 წელიწადში ერთხელ ..... 0,30 კპა;
20 წელიწადში ერთხელ ..... 0,38 კპა;
11. ქარის მახასიათებლები, ქარის უდიდესი სიჩქარე შესაძლებელია:
წელიწადში ერთხელ ..... 17 მ/წმ;
5 წელიწადში ერთხელ ..... 22 მ/წმ;
10 წელიწადში ერთხელ ..... 24 მ/წმ;
15 წელიწადში ერთხელ ..... 25 მ/წმ;
20 წელიწადში ერთხელ ..... 28 მ/წმ;
12. გრუნტების სეზონური გაყინვის ნორმატიული სიღრმე ..... 0 სმ.

- მეწყერული დაზიანებისა და საშიშროების თვალსაზრისით არეალი მიჩნეულია საშუალო რისკის დონისად და მიეკუთვნება 0,1-0,3 კატეგორიას. მიუხედავად იმისა, რომ მეწყერული დაზიანების საშიშროების თვალსაზრისით საქართველო უმაღლესი რისკის ზონაში გადის მთელი კავკასიის მასშტაბით, აჭარის რეგიონში კერძოდ კი ქ. ბათუმის ტერიტორიაზე რისკის დონე განისაზღვრება როგორც საშუალო. საპროექტო ტერიტორია არ შედის საქართველოში არსებულ 53 ათასი მეწყერული უბნის ზონაში, რასაც მნიშვნელოვანწილად განაპირობებს ამ არეალში არსებული სწორი რელიეფი.*(იხილეთ ილ. # 4).*

სრულად იხ. დანართი #----- - ზოგადი საინჟინრო გეოლოგია

2.1.12 დაგეგმვისწინა მდგომარეობა

2.1.12.1. სივრცითი დაგეგმვის მიზნები და პრინციპები

ბეტონის ბლოკი	0.5	0.5	0.2	0.25	0.05	3	0.3	60
ბეტონის ბლოკი	0.5	0.5	0.2	0.25	0.05	5	0.5	100
ბეტონის ბლოკი	0.5	0.5	0.2	0.25	0.05	7	0.7	140


გეოლოგიურ-ლითოლოგიური ჭრილი I-I'
მასშტაბი: ჰორიზ. 1:-
ვერტ. 1:100
5.0
4.0
3.0
2.0
1.0
0.0
-1.0
-2.0
-3.0
-4.0
2.0
6.0
6.0
1
2
№2
№1
1.50
1.50
აპრობაციის ნომერი
ინჟინერ-გეოლოგის ხელმოწერა, თარიღი

№1 ჭაბურღილი

№1 ჭაბურღილის კერნი

№2 ჭაბურღილი

№2 ჭაბურღილის კერნი

4.1.5 სოციოლოგიური კვლევა *დანართი #4*

4.1.5.1 კვლევა

თარიღი: 01.06.-08.06.2021 წელი

მიზანი: ქ. ბათუში,წმინდა ანდრია პირველწოდებული I ჩიხი # 18-ში (საკადასტრო კოდი 05.36.24.091); დასახლება გონიო (საკადასტრო კოდი 05.36.24.805) და სოფელი გონიო (საკადასტრო კოდი 05.36.24.908) არსებული მიწის ნაკვეთებზე დაგემილი დაბალი ინტენსივობის ორსართულიანი სასტუმრო ფუნქციის მქონე ელიტარული ვილების მშენებლობასთან დაკავშირებით, უბანში, მიმდებარე ტერიტორიაზე მაცხოვრებელი მოსახლეობის ინტერეს ჯგუფების მოსაზრებისა და რეკომენდაციების შეწოვა -შეჯერება.

ამოცანა:

1) მოსახლეობის ინფორმირებულობის განსაზღვრა.
2) მოსახლეობის დამოკიდებულების და შეფასების განსაზღვრა ახალ მშენებლობასთან დაკავშირებით.
3) ზეგავლენა საცხოვრებლის საჭიროებასა და სამუშაო ადგილებზე.
4) ზეგავლენა სოციალურ ინფრასტრუქტურაზე.
5) ზეგავლენა ქალაქის განვითარებაზე.

კვლევის ჩატარების საფუძველი : ქ. ბათუში,წმინდა ანდრია პირველწოდებული I ჩიხი # 18-ში (საკადასტრო კოდი 05.36.24.091) საპროექტო მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი 05.36.24.091 05.36.24.805) მიმდებარე ტერიტორიაზე განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების თაობაზე. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ბრძანება ბ14,142113427.

გამოკითხვის ობიექტი: ქ. ბათუმში ქ. ბათუში,წმინდა ანდრია პირველწოდებული I ჩიხი # 18-ის მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის გამოკითხვა.

გამოკითხვის სახეობა: ანალიტიკური.

გამოკითხვის მეთოდოლოგია: კორელაციური ანალიზი. გამოკითხვა ანკეტის მიხედვით, ანონიმური.

გამოკითხვის მისამართი :

ქ. ბათუში, გონიო წმინდა ანდრია პირველწოდებული I ჩიხი # 18

ანონიმურ გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 100 რესპოდენტმა. ვინაიდან საკვლევ ტერიტორიაზე განლაგებული საკადასტრო ნაკეთებს შორის კერძო სექტორში მაცხოვრებლები შეადგენდნენ 15,7 % ასევე შემთხვევითი არჩევის პრინციპით გამოიკითხა მიმდებარე ტერიტორიაზე და სავაჭრო ობიექტებში მომუშავე მოქალაქეები. დიაგრამა1 -ის თანახმად ასაკობრივი დიაპაზონი იყო ფართო და მოიცავდა ყველა ასაკობრივ ჯგუს .

დიაგრამა # 1



გამოკითხულთაგან უმეტესი ნაწილი იყო საშუალო განათლების (68 რესპოდენტი) და თვითდასაქმებული. აქვე უნდა აღინიშნოს რომ დროებით უმუშევართა (19 რესპოდენტი) ინტერესი დაგეგმილ მშენებლობასთან დაკავშირებით ძალზედ მაღალია, მათ აქვთ ადგილზე დასაქმების მოლოდინი.

რესპოდენტთა სქესი გადანაწილდა შემდეგი პარამეტრებით:

მამრობითი სქესი - 94 რესპოდენტი

მდედრობითი სქესი - 6 რესპოდენტი

აღნიშნულიდან გამომდინარე კვლევამ მოიცვა ყველა სოციალურიასაკობრივი ჯგუფი ჩვენგან

დამოუკიდებელი მიზეზების გამო ვერ მოხერხდა გენდერული ბალანსის დაცვა.

ზემოაღნიშნულ ტერიტორიაზე დაბალი ინტენსივობის ელიტარული ვილების მშენებლობის დაწყების შესახებ ინფორმირებულობა არის ძალიან დაბალი 100 გამოკითხულიდან 72 -ს არ სმენია დაგეგმილი მშენებლობის შესახებ. ხოლო იმ 28 რესპოდენტმა რომლებიც ინფორმირებულები იყვნენ ინფორმირებულები ინფორმაცია მიიღეს პრესისა და ტელევიზიის მეშვეობით. ინფორმირებულობის საკითხის შეჯამებისას შეიძლება ითქვას რომ ინფორმაცია მშენებლობის დაწყების შესახებ იყო საჯარო ღია და გახსნილი. თუმცა ადგილობრივ მოსახლეობას არ გამოუჩენია ინტერესი მის მოძიებასთან დაკავშირებით. სოციოლოგიური კვლევის პროცესში მოხდა რესპოდენტების ზოგადი ინფორმირებულობა დაბალი ინტენსივობის ელიტარული ვილების მშენებლობის დაწყებასთან დაკავშირებით , მიიღეს რა ინფორმაცია 100 რესპოდენტიდან 98-მა გამოკითხულმა დადებითად შეაფასა უბანში ელიტარული ვილების მშენებლობის დაწყება. აქვე უნდა აღინიშნოს რომ ინფორმაციის მიღების შემდეგაც და მანამდეც გამოკითხულთა მხოლოდ 3 % თანახმაა მიიღოს მონაწილეობა ვილების დაგეგმარების პროცესში.

დიაგრამა # 2



გამოკითხულთადგან თითქმის ყველას მოსწონს 94 რესპოდენტს მოსწონს აღნიშნულ უბანში ცხოვრება. მათთვის აქ საცხოვრებლად კომფორტული გარემოა, თმცა თვლიან რომ არსებული უბნის იერსახე ბოლო 10 წლის განმავლობაში გაუარესდა (53 გამოკითხული). ან იგივე დარჩა (36 გამოკითხული). ამიტომ მათი აზრით ზემოაღნიშნული უბანი საჭიროებს:

ა) კეთილმოწყობას. - 98 რესპოდენტი

ბ) გალამაზებას. - 64 რესპოდენტი

გ) ინფრასტრუქტურის განვითარებას. - 98 რესპორენტი

(კითხვაზე შესაძლებელი იყო რამდენიმე პასუხის გაცემა)

100 გამოკითხულიდან მხოლოდ 2 თვლის რომ უბანი არ საჭიროებს ცვლილებებს.

100 გამოკითხულთაგან 98 ემხრობა ვილების მშენებლობას რადგან:

ა) ის ხელს შეუწყობს უბნის განვითარებას - 98 რესპოდენტი

ბ) ის გახდება ბათუმის სავიზიტო ბარათი - 51 რესპოდენტი

გ) შეიქმნება ახალი სამუშაო ადგილები - 98 რესპორენტი

დ) უბანი კეთილმოეწყობა და გახდება უფრო თანამედროვე - 98 რესპოდენტი

ე) ხელს შეუწყობს ტურიზმის განვითარებას - 98 რესპოდენტი.

(კითხვაზე შესაძლებელი იყო რამდენიმე პასუხის გაცემა)

ის 2 რესპოდენტები რომლებიც უბანში ახალი ვილების მშენებლობის მოწინააამდეგნი არიან თვლიან რომ ეს ისტორიული უბანია და აქ არაფერი არ უნდა აშენდეს.

100 გამოკითხულიდან 96 თვლის რომ გონიოს ტურისტული განვითარებისათვის აუცილებელია ახალი ტიპის (ამ შემთხვევაში ვილების) მშენებლობა.

100 გამოკითხულიდან 98 თვლის რომ უბანში შეიქმნება ახალი სამუშაო ადგილები. რაც გამოიწვევს ადგილობრივ მცხოვრებთა ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

უნდა აღინიშნოს რომ მშენებლობის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული ბენზინგასამართ სადგურში და სავაჭრო ჯიხურებში, ვალუტის გადამცვლელ პუნქტებში,აფთიაქებსა და კაფე-ბარებში დასაქმებულ თანამშრომლებსაც და მეპატრონეებსაც გაუჩნდათ მოლოდინი რომ მათი ფინანსური მდგომარეობა გაუმჯობესდება და გაიზრდება შემოსავალი.

100 გამოკითხულიდან 96 თვლის რომ ამ მშენებლობის დაწყებით გონიოს დასახლებას გაუჩნდა განვითარების ახალი პრესპექტივები.

სამომავლო დადებით დინამიკასთან ერთად უბნის მაცხოვრებლები ვერ ხედავენ და არ მოელიან საფრთხეს ეკოლოგიურ და ჯანმრთელობის საკითხებთან დაკავშირებით. თვლიან რომ მსენებლობა არ მოახდენს ზეგავლენას გარემოზე (87 გამოკითხული) არ მოახდენს უარყოფით ზეგავლენას მოსახლეობის ჯანმრთელობაზე (95 გამოკითხული). უმეტესობა (63 რესპოდენტი) მიიჩნევს რომ მოიმატებს საგზაო მოძრაობა., თუმცა მომატებული ნაკადი არ მოახდენს ზეგავლენას უბნის ცხოვრებაზე. ტრანსპორტის ნაკადის მომატებასთან დაკავშირებით მოსახლეობის სურვილი და თხოვნაა გაკეთდეს საპარკინგე ზონა. მაღალია მოლოდინი (98 გამოკითხული) სოციალური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისა. მოსახლეობის თხოვნაა გაკეთდეს თანამედროვე საბავშვო მოედანი , თანამედროვე „მაკ დონალდსის “ ტიპის კაფე, გაშენდეს თანამედროვე მინი-პარკი .

შეჯამებისას შეიძლება ითქვას რომ მოსახლეობა სიხარულით, ენთუზიაზმითა და იმედებით ელოდება აღნიშნული მშენებლობის დაწყებას.

თ. დობორჯგინიძე.

მოსახლეობის გამოკითხვის ფოტოები:

4.1.5.2 შეხვედრის ოქმი

ქალაქ ბათუმში, დასახლება გონიოში წმინდა ანდრია პირველწოდებულის I ჩიხი # 48-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე მცხოვრებთა, (ს/კ 05.36.24.091. 05.36.24.608 . 05.36.24. 805) საჯარო შეხბერდრის

ოქმი #1 ქ. ბათუმი 16 ივნისი 2021 წ.

შეხვედრას თავმჯდომარეობდა:

თამარ დობორჯგინიძე- სოციოლოგი

მდივანი :

ნიკოლოზ ანთაძე - ბსუ სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტი.

შეხვედრას ესწრებოდნენ: დაგეგმილი ინვესტიციის საპროექტო ტერიტორიის მომიჯნავედ მცხოვრები მესაკუთრეები: ლევან ბარამიძე, მალხაზ ბარამიძე, ლია მახარაძე, ლევან ივანაძე. მომიჯნავე ტერიტორიაზე კომერციული ფართის მესაკუთრეები: ვიტალი ბარამიძე, ვახო ბარამიძე.საინვესტიციო ჯგუფის ტანამშრომლები: მერაბ ვარშანიძე, ზვიად ცინცაძე, ნინო დოლიძე, გოჩა კამკია. განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის შემსრულებელი შპს „არტ დიზაინ+“ -ის არქიტექტორი მალხაზ ქათამაძე.

თამარ დობორჯგინიძემ შეხვედრა გახსნილად გამოაცხადა და შეხვედრის დამსწრე პირებს გააცნო დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები, დამსწრე პირებს შენიშვნები არ ჰქონიათ და ერთხმად დაამტკიცეს დღის წესრიგის პროექტი.

განიხილეს : ქალაქ ბათუმში, დასახლება გონიოში წმინდა ანდრია პირველწოდებულის I ჩიხი # 48-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 05.36.24.091. 05.36.24.608 . 05.36.24. 805) დაგეგმილი საინვესტიციო წინადადების არსი, განსახორციელებელი სამუშაოები, პროექტის საზღვრები, სიმაღლე, მოცულობა. არქიტექტორმა დეტალურად მოუთხრო დამსწრე საზოგადოებას თუ კონკრეტულად რა შენდება (ანკეტურმა გამოკითხვამ აჩვენა რომ ინფორმირებულობა მოსახლეობაში დაბალია) რა სარგებლობას ნახავენ თავად ადგილობრივები და სოფელი. აუხსა როგორი იქნება დასრულებული კოტეჯების იერსახე. აქვე ხაზი გაესვა იმ ფაქტსაც, რომ დაგეგმილი სამშენებლო სამუსაოების მაკონტროლებელი იქნება სერტიფიცირებული ორგანო, რომელიც თავის მხრივ იღებს ვალდებულებას მშენებლობაში გამოყენებული მასალების ხარისხსა და კონტროლზე. დამსწრეებს აქვე აეხსნათ რომ ადგილზე მოხდებამათი აზრის და წინადადებების ჩანიშვნა და სამომავლოდ მათი გათვალისწინება. აზრი გამოთქვეს :

მახარაძე ლიამ და აღნიშნა, რომ მიესალმება დაგეგმილ ინვესტიციას, რადგან ეს მისი ოჯახის ინტერესებშიც შედის, სთხოვა ინვესტორს რომ პროექტის დასრულების შემდეგ კოტეჯებში სამუშაოდ დასაქმდნენ მეზობლად მცხოვრები მოქალაქეები.

ლევან ბარამიძე მიესალმა საინვესტიციო წინადადებას, ის უშუალოდ მომიჯნავე ტერიტორიაზე ცხოვრობს და ამიტომ დეტალურად დაინტერესდა კოტეჯის საზღვრებით.

ბარამიძე მალხაზიც მიესალმა საინვესტიციო წინადადება რადგან ფიქრობს რომ დასაქმდება თვითონაც და მისი სამეზობლოც.

ვახო ბარამიძემ გამოთქვა იმედი, რომ მშენებლობა განხორციელდება შეუფერხებლად და დაგეგმილ ვადებში. ასევე კარგი იქნებოდა თუ მიმდებარე ტერიტორია კეთილმოეწყობა და იქნ განთავსდება საბავშვო ატრაქციონები ან სატრენაჟორო ტურნიკეტები.

მომიჯნავე მეზობლებისა და კომერციული ფართების მფლობელტა ერთობლივი თხოვნა იყო გაფართოვდეს ჩიხში არსებული გზა, დაიგოს ასფალტის საფარიდა მოეწყოს საპარკინგე ზონა.

სხდომის თავმჯდომარემ დაგეგმილი ინვესტიციების განხორციელების დაწყების საკითხი დააყენა კენწისყრაზე:

კენჭისყრის შედეგები : მომხრე - 12.

მოწინააღმდეგე - 0

სხდომის თავმჯდომარე - თამარ დობორჯგინიძე

მდივანი - ნიკოლოზ ანთაძე

წევრები - ლევან ბარამიძე, მლხაზ ბარამიძე, გოჩა კამკია.

ხმათა აბსოლიტური უმრავლესობით მიღბული იქნა გადაწყვეტილება:

1. ქალაქ ბათუმში, დასახლება გონიოში წმინდა ანდრია პირველწოდებულის I ჩიხი # 48-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე დაბალი ინტენსივობის ორსართულიანი სასტუმრო ფუნქციის მქონე ელიტარული ვილების მსენებლობა.
2. ინვესტორმა გააშენოს საინვესტიციო მიწის ნაკვეთზე რეკრეაციული ზონა.
3. მოეწყოს საპარკინგე ზონა.
4. მშენებლობაზე შეძლებისდაგვარად დასაქმდეს ადგილობრივი მაცხოვრებლები.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა- საჯარო

შეხვედრა დასრულებულად გამოაცხადა.

თ. დობორჯგინიძე.

4.5.1.3. შეხვედრა ინვესტორთან

ქალაქ ბათუმში, დასახლება გონიოში 2021 წლის 16 ივნისს, ღია სივრცეში შედგა წმინდა ანდრია პირველწოდებულის I ჩიხი # 48-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე მცხოვრებთა, ახლომდებარე ობიექტებზე მომუშავეთა და მიმდინარე ტერიტორიაზე ასაშენებელი ობიექტის ინვესტორთა შეხვედრა. განსახორციელებელი სამშენებლო სამუშაოების ასპექტების თაობაზე.

მოისმინეს რა სამშენებლო კომპანიის თვალსაზრისი, მშენებლობის მათეული ხედვის ირგვლივ, დაინტერესებულმა პირებმაც გამოთქვეს თავიანთი მოსაზრებები და შენიშვნები განაშენიანების დეტალური გეგმის თაობაზე.

სოციოლოგიური კუთხით, ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთზე მცხოვრებთა და მომდინარე ტერიტორიაზე არსებულ ობიექტთა მეპატრონეთა აზრი შემდეგნაირია: მათი აზრით მიზანშეწონილია ვილების მიმდებარედ განთავსდეს პარკინგი, ვინაიდან მოიმატებს მანქანების ნაკადი, ასევე მიზანშეწონილია მიიჩნევენ ვინაიდან ვილები ელიტარულია ინვესტორმა იზრუნოს ან იშუამდგომლოს მერიასთან მიმდებარე ზონის სოციალური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაზე. ასევე მათი თხოვნაა მიწის ნაკვეთის მიმდებარედ განთავსდეს რეკრიაციული ზონა, მოეწყოს ბავშვებისთვის გასართობი მოედანი. მშენებლობის პროცესი და დასრულებული ვილები უნდა აკმაყოფილებდეს უსაფრთხოების ყველა წესებს და ნორმებს.

უმთავრეს მაკომპენსირებელ ღონისძიებად ზემოთ აღნიშნული ტერიტორიის მაცხოვრებლების მხრიდან მიჩნეულია შემდეგი ობიექტების მოწყობა:

1. სკვერი და დასასვენებელი ობიექტი
2. პარკინგი

სოციუოლოგიური კვლევის საფუძველზე შეიძლება ითქვას მოსახლეობის უმეტესობას იმედი აქვს რომ დაბალი იტენსივობის სასტუმროს ტიპის ელიტარული ვილების მშენებლობით გამოსწორდება მათი საცხოვრებელი პირობები, გაუმჯობესდება ფინანსური მდგომარეობა, ვილებში სამუშაოდ დასაქმებისას პრიორიტეტი მიენიჭება ადგილობრივ მოსახლეობას.

ინვესტორმა გამოხატა მზადყოფნა რომ მაქსიმალურად გამოხატოს მოსახლეობის ინტერესი რათა შეჯერდეს საჯარო და კერძო ინტერესები, ასევე ინვესტორმა დადო პირობა რომ მშენებლობა იწარმოებს არსებულ კანონმდებლობასთან სრულ შესაბამისობაში.

შეხვედრისას გადაწყდა საჯარო გამოკითხვისა და შეხვედრის შედეგების თაობაზე ოქმის შედგენა, რომელიც წარდგენილ იქნება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცედურისათვის.

გამოკითხვა და შესაბამისი სოციოლოგიური კვლევა ჩატარებულია ჩემს მიერ, რასაც ვადასტურებ ხელწერით.

სოციოლოგი: /თამარ დობორჯგინიძე/

შეხვედრის ფოტოები: 16/06/2021

4..5.1..4 შეხვედრა მთავრობასთან

ქალაქ ბათუმში, დასახლება გონიოში წმინდა ანდრია პირველწოდებულის I ჩიხი # 48-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 05.36.24.091. 05.36.24.608 . 05.36.24. 805) განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების ინიცირების თაობაზე ქალაქ ბათუმში მუნიციპალიტეტის მერიის14.05.2021წლის #ბ14.142113427 ბრძანების საფუძველზე განაშენიანების დეტალური გეგმის დამუშავების პროცესში მოხდა საქმიანი,სამუშაო შეხვედრები სახელმწიფო და ადგილობრივი ხელისუფლების მოსაზრებების დაზუსტება-გათვასლისწინებისათვის. რათა პროექტის დაგეგმარებისას გათვალისწინებული იყოს საჯარო ინტერესის დაკმაყოფილება ახალი ინფრასტუქტურების შექმნით და არსებულის გაუმჯობესებით. საჯარო და კერძო სექტორებს შორის რისკების გადანაწილებით. კერძო პარტნიორის (ინვესტორის) „ნოუ-ჰაუს“ გამოყენება. ადგილობრივი და სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლები იმედოვნებენ რომ ინვესტორი სრულად დაიცავს მშენებლობის ვადებს, მოუვლის და არ დააზიანებს საჯარო ინფრასტრუქტურას. განაშენიანების დეტალური გეგმა იქნება სწორად შემუშაებული და ხელს შეუწყოფს პროექტის გამჭვირვალებას. მოწესრიგდება და განვითარდება ზემოაღნიშნული ტერიტორია. შეიქმნება ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემო. სახელმწიფო და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა თავის მხრივ გამოთქვეს მზაობა თანამშრომლობაზე და ხელშეწყობაზე.

მათი პირობებია:

1. დაცული იქნას გარემოსდაცვითი ნორმები.
2. პროექტის დაგეგმარებისას გათვალისწინებული იქნას ტერიტორიის ლანდშაფტი.
3. გათვალისწინებული იქნას უბნის ურბანული პოლიტიკა.
4. გათვალისწინებული იქნას გეგმარებითი ერთეულის სატრანსპორტო დაქსელვა.
5. გათვალისწინებული იქნას მწვანე ზონების შექმნა.

დაინტერესებულმა პირებმა გამოთქვეს თავიანთი მოსაზრებები და შენიშვნები. კ1 კოეფიციენტის გაზრდასთან დაკავშირებით მაკომპენსირებელი ღონისძიებების თაობაზე. შეხვედრაზე გადაწყდა რომ კ1 კოეფიციენტის გაზრდასთან დაკავშირებულ მაკომპენსირებელ ღონისძიების მიზნით მათი რეკომენდაცია და რჩევაა ინვესტორმა გაითვალისწინოს და მოახდინოს მიმდებარე ტერიტორიის გამწვანება და საპარკინგე ზონის მოწყობა, ქალაქის მერიასთან შეთანხმებით, რათა არ დაზიანდეს მხარეთა ინტერესები და გათვალისწინებული იქნეს თითოეული მათგანის შესაძლებლობები.

სოციოლოგი: /თამარ დობორჯგინიძე/

4..5.1..5 სკრინინგის ანგარიში *დანართი #5*

შპს „გონიო 2020“

ქალაქი ბათუმში, წმინდა ანდრია პირველწოდებულის I ჩიხი, N 18-ში მდებარე ტერიტორიის განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების

სკრინინგის ანგარიში

შემსრულებელი შპს „გონიო 2020“

დირექტორი ნინო დოლიძე

ბათუმი, 2021

სარჩევი

1 შესავალი 50

2 ანგარიშის მომზადების საკანონმდებლო საფუძველი 50

3 დაგეგმილი საქმიანობის მოკლე აღწერა 51

4 ინფორმაცია საქმიანობის განხორციელების ადგილის გარემოს ფონურ მდგომარეობაზე 54

4.1 კლიმატური პირობები 54

4.2 გეოლოგიური პირობები 56

4.2.1 საინჟინრო-გეოლოგიური პირობები 56

5 გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე ზემოქმედების ფაქტორები 58

5.1 მოსალოდნელი ზემოქმედების მოკლე აღწერა 58

5.2 ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ემისიები და ხმაურის გავრცელება 58

5.3 ნიადაგის და გრუნტის დაბინძურება 60

5.4 ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების დაბინძურება 61
5.5 ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედება..... 61
5.6 სოციალურ გარემოზე ზემოქმედება..... 62
5.7 ადამიანის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე ზემოქმედება 62
6 გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები 62
7 დასკვნა..... 63

ცხრილები

ცხრილი 1 პროექტის და სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ანგარიშის შემმუშავებელი ორგანოს შესახებ. 50
ცხრილი 2 ატმოსფერული ჰაერის მრავალწლიურ საშუალო ტემპერატურათა მნიშვნელობები (^{0}C) 54
ცხრილი 3 ატმოსფერული ჰაერის დღეღამურ მინიმალურ ტემპერატურათა საშუალო მნიშვნელობები (0C) 54
ცხრილი 4 ატმოსფერული ჰაერის აბსოლუტურ მინიმალურ ტემპერატურათა საშუალო მნიშვნელობები (^{0}C) 54
ცხრილი 5 ატმოსფერული ჰაერის დღეღამურ მაქსიმალურ ტემპერატურათა საშუალო მნიშვნელობები (^{0}C) 55
ცხრილი 6ატმოსფერული ჰაერის აბსოლუტურ მაქსიმალურ ტემპერატურათა მნიშვნელობები (^{0}C) 55
ცხრილი 7ფარდობითი ტენიანობა..... 55
ცხრილი 8 ატმოსფერული ნალექების ჯამის საშუალო მნიშვნელობები (მმ)..... 55
ცხრილი 9ნისლიან დღეთა რაოდენობა წელიწადში..... 55
ცხრილი 10ქარის სხვადასხვა მიმართულებების განმეორადობა 55
ცხრილი 11ქარის საშუალო თვიური და წლიური სიჩქარე 55
ცხრილი 12ნიადაგის ზედაპირის საშუალო თვიური, მაქსიმალური და მინიმალური ტემპერატურა 55
ცხრილი 13 გარემოს ეროვნული სააგენტოს სადგური მონაცემები 2021 წლის აპრილის თვე, მგ/მ3 59

ნახაზები

ნახაზი 1 ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური ჭრილები**Ошибка! Закладка не определена.**

ილუსტრაციები

ილუსტრაცია 1 ილუსტრაცია საპროექტო ტერიტორია..... 51
ილუსტრაცია 2 საპროექტო ტერიტორიის ხედები..... 51
ილუსტრაცია 3 გონიოს ციხის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის არქეოლოგიური დაცვის ზონის მდებარეობა საპროექტო ტერიტორიის მიმართ 52
ილუსტრაცია 4 საპროექტო ტერიტორიის დექნიკურ-ეკონომიკური პარამეტრები 53
ილუსტრაცია 5 პროექტით გათვალისწინებული კონცეფციები 54
ილუსტრაცია 6. საპროექტო ტერიტორიაზე არსებული ტექნოგენური გრუნტი 60
ილუსტრაცია 7 საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ არსებული მცენარეულობა 61

4.5.1.5.1. შესავალი

წინამდებარე ანგარიში შეეხება ქალაქი ბათუმში, წმინდა ანდრია პირველწოდებულის I ჩიხი, N 18-ში მდებარე ტერიტორიის განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების სკრინინგის ანგარიშს, რომელიც მომზადებულია შპს „გონიო 2020“-ს მიერ. სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების სკრინინგის ანგარიში მოიცავს ინფორმაციას საკვლევი არეალის ფიზიკური გარემოს ფონურ მდგომარეობის შესახებ, პროექტით გათვალისწინებული საქმიანობების გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედების წინასწარ შეფასებას და ამ ზემოქმედებების შემარბილებელ ღონისძიებებს.

ცხრილი 1 პროექტის და სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ანგარიშის შემშუშავებელი ორგანოს შესახებ.

კომპანიის დასახელება	შპს „გონიო 2020“
მისამართი	ქ. ბათუმი, პუშკინის ქუჩა, №124
ტელეფონი	
ელექტრონული ფოსტა	n.dolidze@alliancegroup.ge
ვებგვერდი	
წარმომადგენელი პირი	მალხაზ ქათამაძე
წარმომადგენელი პირის მობ.	551373733
წარმომადგენელი პირის ელ-ფოსტა	Mgroup1975@gmail.com

4.5.1.5.2 ანგარიშის მომზადების საკანონმდებლო საფუძველი

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს 20-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასება სავალდებულოა იმ სტრატეგიული დოკუმენტისთვის, რომელიც წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული ადმინისტრაციული ორგანოს კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტს, რომლითაც დგინდება სამომავლო განვითარების ჩარჩო კოდექსით განსაზღვრულ სექტორებში (მათ შორის, დაგეგმარება და სივრცითი მოწყობა) და კოდექსის I და II დანართებით გათვალისწინებული საქმიანობების სახეობებისთვის განისაზღვრება მახასიათებლები ან/და მოცულობები. წინამდებარე ანგარიშის მომზადების საფუძველს წარმოადგენს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ შემუშავებული დავალება ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის (გდგ, მისი საფუძველმდებარე და თანმდევი დოკუმენტებით) შემუშავების თაობაზე, სადაც 1.4.4 პარაგრაფში ვკითხულობთ - **„თანახმად გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-20 და 21-ე ნაწილებისა, სტრატეგიული დოკუმენტი, რომელიც ეხება თვითმმართველი ქალაქის ტერიტორიას არ ექვემდებარება სგშ. თუმცა, თუ მერია მიიჩნევს, რომ საჭიროა დააზუსტოს წინამდებარე დავალებით შესამუშავებელი გეგმისთვის სგშ საჭიროება, იგი უფლებამოსილია შესაბამის უწყებებს მიმართოს სკრინინგის განცხადებით, რომლის შედეგების მიხედვით ჩატარდება ან არ ჩატარდება სგშ“.**

აღნიშნული დავალების შესაბამისად, შპს „გონიო 2000“-მა შეიმუშავა ქალაქი ბათუმში, წმინდა ანდრია პირველწოდებულის I ჩიხი, N 18-ში მდებარე ტერიტორიის განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების სკრინინგის ანგარიში. სტრატეგიული დოკუმენტის სკრინინგის განხორციელების და სათანადო ანგარიშის შედგენის შემდეგ დამგეგმავი ორგანო უფლებამოსილია გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს (შემდგომში სამინისტროები) მიმართოს სკრინინგის განცხადებით, წარუდგინოს სკრინინგის ანგარიში და სტრატეგიული დოკუმენტის კონცეფცია ან პროექტი.

სკრინინგის განცხადების რეგისტრაციიდან 3 დღის ვადაში სამინისტროები და დამგეგმავი ორგანო სკრინინგის განცხადებასა და სტრატეგიული დოკუმენტის კონცეფციას/პროექტს ოფიციალურ ვებგვერდებზე განათავსებენ. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო უზრუნველყოფს წარმოდგენილი დოკუმენტების შესაბამისი მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს ან/და მისი წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე განთავსებას. მოთხოვნის შემთხვევაში, სამინისტროები უზრუნველყოფენ აღნიშნული დოკუმენტების ნაბეჭდი ეგზემპლარების ან ელექტრონული ვერსიების ხელმისაწვდომობას, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის 34-ე მუხლის თანახმად, საზოგადოებას უფლება აქვს, ინფორმაციის გამოქვეყნებიდან 7-დღის განმავლობაში, წარადგინოს მოსაზრებები და შენიშვნები მითითებულ დოკუმენტებთან დაკავშირებით. სამინისტროები იხილავენ საზოგადოების მიერ წარმოდგენილ შენიშვნებს და, შესაბამისი საფუძველის არსებობის შემთხვევაში, მხედველობაში იღებენ მათ მოსაზრებებს. სამინისტროები სკრინინგის განცხადების რეგისტრაციიდან არაუადრეს მე-10 დღისა და არაუგვიანეს მე-15 დღისა ინდივიდუალურად იღებენ გადაწყვეტილებას, რომლითაც განისაზღვრება სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების საჭიროება/არსაჭიროება. სკრინინგის გადაწყვეტილების მიღებიდან 3 დღის ვადაში სამინისტროები შედეგის შესახებ პასუხს უგზავნიან დამგეგმავ ორგანოს..

4.5.1.5.3.. დაგეგმილი საქმიანობის მოკლე აღწერა

საპროექტო მიწის ნაკვეთები (ს. კ. 05.36.24.091, 05.36.24.608 და 05.36.24.805) საერთო ფართით 20485,0 კვ.მ მდებარეობს ქ. ბათუმში, გონიოს დასახლებაში შავი ზღვის სანაპირო ზოლში განლაგებულ ტერიტორიაზე, რომელიც ბათუმის ცენტრიდან დაშორებულია 12 კმ-ით.

ილუსტრაცია 1 ილუსტრაცია საპროექტო ტერიტორია

საპროექტო ტერიტორიას დასავლეთის, ჩრდილოეთის და აღმოსავლეთის მხრიდან ესაზღვრება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კუთვნილებაში არსებული თავისუფალი ტერიტორიები. ტერიტორიის სამხრეთ აღმოსავლეთ ნაწილში, 50 მ მანძილში მდებარეობს უახლოესი საცხოვრებელი სახლი, ხოლო ტერიტორიის სამხრეთით 25 მ. მანძილში მდებარეობს კერძო საკუთრება (კომერციული ფართი). საპროექტო ტერიტორიიდან შავი ზღვა დაშორებულია დაახლოებით 100-მ მანძილით.

ილუსტრაცია 2 საპროექტო ტერიტორიის ხედები



ფოტოგადაღების ადგილმდებარეობა



საპროექტო ტერიტორიის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს გონიოს ციხის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი, რომლის არქეოლოგიური დაცვის ზონა საპროექტო ტერიტორიიდან დაშორებულია 195 მ. მანძილით (იხილეთ ილუსტრაცია 3).

ილუსტრაცია 3 გონიოს ციხის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის არქეოლოგიური დაცვის ზონის მდებარეობა საპროექტო ტერიტორიის მიმართ



გეომორფოლოგიურად საკვლევი უბნის რელიეფი წარმოადგენს აკუმულაციური ტიპის რელიეფს, რომელიც შექმნილია ზღვის ტრანსგრესია-რეგრესიის მოქმედების შედეგად. გეოლოგიურად საკვლევი ტერიტორია აგებულია მეოთხეული ასაკის, ალუვიურ-ზღვიური გენეზისის ქვიშოვანი და ხრეშოვანი გრუნტებით.

ბათუმის მუნიციპალიტეტის კონკრეტული ფუნქციური ზონირების რუქის შესაბამისად საპროექტო ტერიტორი მიეკუთვნება საკურორტო ზონას და წარმოადგენს შერეული ზონის (შზ-4) ქვეზონას ზონას, რომელიც მდებარეობს განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში და განეკუთვნება ნაშენ ტერიტორიას, სადაც განსაზღვრული კოეფიციენტებია:

1. ა) შზ-4 ზონაში დადგენილი განაშენიანების მაქსიმალური კოეფიციენტი (კ-1) - 0.2;
2. ბ) შზ-4 ზონაში დადგენილი მაქსიმალური სიმაღლეა 15 მეტრი:
3. გ) შზ-4 ზონაში დადგენილი გამწვანების კოეფიციენტია (კ-3) - 0,8 .

საპროექტო ტერიტორიაზე არსებული მიწის ნაკვეთების (ს. კ. 05.36.24.091, 05.36.24.608 და 05.36.24.805) განვითარების მიზანია დაბალი ინტენსივობის სასტუმრო ფუნქციის მქონე განაშენიანების მოწყობა, რისთვისაც სასურველია განხორციელდეს არსებული ქალაქმშენებლობითი პარამეტრების ცვლილება, კერძოდ

1) შზ-4 ზონაში დადგენილი განაშენიანების მაქსიმალური (კ-1) კოეფიციენტი 0.2 მაჩვენებლიდან გაიზარდოს 0,3-მაჩვენებლამდე;
2) შზ-4 ზონაში დადგენილი მაქსიმალური სიმაღლე 15 მეტრიდან შემცირდეს 8 მეტრამდე:
3) შზ-4 ზონაში დადგენილი გამწვანების (კ-3) კოეფიციენტი- 0,8 მაჩვენებლიდან შემცირდეს 0,6-მაჩვენებლამდე.
4) დასაპროექტებელ ვილებს შორის მიჯნის ზონებით დადგენილი მანძილები შემცირდეს 3 მეტრამდე.

პროექტის მიხედვით განსაზღვრულია 26 ვილის აშენება, მათ შორის 25 ვილა გაბარიტული ზომებით იდენტური იქნება (14 X 12X 8 მ.) ხოლო ერთი იქნება უფრო დიდი (23 X 12X 8მ.). ყოველი კოტეჯისთვის გამოიყოფა ცალ-ცალკე ნაკვეთები სადაც მოეწყობა ინდივიდუალური საცურაო აუზები და 2 ავტომობილზე გათვლილი საპარკინგე ადგილი. ნაკვეთების ირგვლივ მოეწყობა ბუნებრივი ღობე მწვანე ნარგავების სახით (დაფნის ხეებით). ყველა ნაკვეთს ექნება წყლის გატარების უნარი ვინაიდან ტერიტორია მანქანის სავალი ნაწილის გარდა მოპირკეთდება წყალგამტარი დეკორატიული ფილებით.

ილუსტრაცია 4 საპროექტო ტერიტორიის დექნიკურ-ეკონომიკური პარამეტრები

ტექნიკურ ეკონომიკური პარამეტრები						
ნაკვეთის №	ნაკვეთის ფართი ($მ^2$)	კ-1	კ-2	კ-3	ბასეინი	მზის სეფარი ($მ^2$)
01	923.00	150.0	326.65	711.45 (0.7)	61.55	2168.80
02	604.15	150.0	326.65	392.60 (0.6)	61.55	
03	633.30	150.0	326.65	421.75 (0.6)	61.55	
04	608.25	150.0	326.65	396.70 (0.6)	61.55	
05	1829.70	545.0	1214.65	1202.80 (0.6)	81.90	
06	604.45	150.0	326.65	392.90 (0.6)	61.55	
07	626.10	150.0	326.65	414.55 (0.6)	61.55	
08	492.85	145.0	315.25	286.30 (0.6)	61.55	
09	588.65	150.0	326.65	377.10 (0.6)	61.55	
10	616.20	150.0	326.65	423.70 (0.6)	42.50	
11	425.30	125.0	275.25	248.50 (0.6)	51.80	
12	443.40	125.0	275.25	266.60 (0.6)	51.80	
13	563.30	150.0	326.65	351.75 (0.6)	61.55	
14	554.50	150.0	326.65	342.95 (0.6)	61.55	
15	680.10	150.0	326.65	468.55 (0.7)	61.55	
16	514.05	150.0	326.65	302.50 (0.6)	61.55	
17	522.10	150.0	326.65	310.55 (0.6)	61.55	
18	519.60	150.0	326.65	308.05 (0.6)	61.55	
19	520.85	150.0	326.65	309.30 (0.6)	61.55	
20	500.50	150.0	326.65	288.95 (0.6)	61.55	
21	500.50	150.0	326.65	288.95 (0.6)	61.55	
22	520.85	150.0	326.65	309.30 (0.6)	61.55	
23	519.60	150.0	326.65	308.05 (0.6)	61.55	
24	522.10	150.0	326.65	310.55 (0.6)	61.55	
25	525.35	150.0	326.65	313.80 (0.6)	61.55	
26	586.05	150.0	326.65	374.50 (0.6)	61.55	
27	578.30	150.0	326.65	366.75 (0.6)	61.55	
28	589.15	150.0	326.65	376.60 (0.6)	61.55	
29	597.70	150.0	326.65	386.15 (0.6)	61.55	
30	585.40	150.0	326.65	373.85 (0.6)	61.55	

ილუსტრაცია 5 პროექტით გათვალისწინებული კონცეფციები

4.5.1.5.4. ინფორმაცია საქმიანობის განხორციელების ადგილის გარემოს ფონურ მდგომარეობაზე

4.5.1.5.4.1 კლიმატური პირობები

აჭარის ტერიტორია განისაზღვრება როგორც ზღვისპირა ტენიანი სუბტროპიკული კლიმატის ზონა, რომელიც მოიცავს მთელ დასავლეთ საქართველოს და გრძელდება ლიხის მთის ქედამდე. ამ ზონის კლიმატი ფორმირებულია მისი მდებარეობის ზემოქმედებით სუბტროპიკული და საშუალო განედით, ატმოსფეროს ცირკულაციის პროცესით და ოროგრაფული მოდელებით.

ვიწრო სანაპირო ზოლი შავი ზღვის გასწვრივ აჭარაში წარმოადგენს კახაბრის დაბლობს, რომელიც მდებარეობს კოლხეთის დაბლობის უკიდურეს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში. ძლიერი და თბილი მასები, მომავალი ხმელთაშუაზღვიდან შავი ზღვის აღმოსავლეთი ნაპირისკენ ათბობს აჭარას ცივი ზამთრის სეზონის დროს. საშუალო ტემპერატურა ყველაზე ცივ თვეებში (იანვარი-თებერვალი) დაახლოებით შეადგენს 4.8˚C – 6.7˚C. საშუალო ტემპერატურა ყველაზე თბილ თვეში (აგვისტო) დაახლოებით შეადგენს 22.2˚C – 23.1˚C. ქვემოთ ცხრილებში წარმოდგენილია კლიმატური მახასიათებლები ბათუმის აეროპორტის მეტეო სადგურის მიხედვით.

ცხრილი 7 ატმოსფერული ჰაერის მრავალწლიურ საშუალო ტემპერატურათა მნიშვნელობები (^0C)

თვე	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	საშ
0_C	6.9	6.8	8.7	11.7	15.8	19.5	22.1	22.6	19.8	16.5	12.4	8.9	14.3

ცხრილი 2 ატმოსფერული ჰაერის დღეღამურ მინიმალურ ტემპერატურათა საშუალო მნიშვნელობები (0C)

თვე	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	საშ
0_C	3.5	3.3	5.1	7.9	12.5	16.3	19.2	19.4	16.4	12.9	9.1	5.8	11.0

ცხრილი 3 ატმოსფერული ჰაერის აბსოლუტურ მინიმალურ ტემპერატურათა საშუალო მნიშვნელობები (^0C)

თვე	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	საშ
0_C	-9	-8	-7	-2	2	9	13	13	7	2	-6	-7	-9

ცხრილი 8 ატმოსფერული ჰაერის დღეღამურ მაქსიმალურ ტემპერატურათა საშუალო მნიშვნელობები (^0C)

თვე	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	საშ
^0C	10.7	11.1	12.9	16.1	20.1	23.2	25.5	26.2	23.9	21.0	16.6	13.0	18.4

ცხრილი 4ატმოსფერული ჰაერის აბსოლუტურ მაქსიმალურ ტემპერატურათა მნიშვნელობები (^0C)

თვე	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	საშ
^0C	25	28	32	39	39	40	40	40	37	33	30	28	40

ცხრილი 5ფარდობითი ტენიანობა

თვე	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	საშ
%	67	71	75	77	79	78	80	81	82	78	70	64	75

ცხრილი 6 ატმოსფერული ნალექების ჯამის საშუალო მნიშვნელობები (მმ)

თვე	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	საშ
მმ	281	228	174	122	92	163	182	255	335	306	304	276	2718

ცხრილი 7ნისლიან დღეთა რაოდენობა წელიწადში

თვე	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	საშ
დღე	0.2	0.4	0.7	2	2			0.5			0.2		6

ცხრილი 8ქარის სხვადასხვა მიმართულებების განმეორადობა

ჩრდილ.	ჩრდ.აღმ	აღმ.	სამხ.აღმ	სამხ.	სამხ.დას	დას.	ჩრდ.დას	შტილი
4	1	3	54	2	20	11	5	19

ცხრილი 9ქარის საშუალო თვიური და წლიური სიჩქარე

თვე	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	საშ
მ/წმ	7.2	6.4	4.7	3.8	3.0	3.1	2.8	3.1	3.2	4.6	5.7	7.3	4.6

ცხრილი 10ნიადაგის ზედაპირის საშუალო თვიური, მაქსიმალური და მინიმალური ტემპერატურა

t ^0C	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	საშ
საშ	5	6	9	14	19	24	26	25	21	16	11	7	15
საშ. მაქს.	12	13	18	26	33	39	40	39	34	28	19	14	26
აბს. მაქს.	28	34	40	54	55	61	64	60	54	46	34	30	64
საშ. მინ.	1	1	3	6	11	15	18	18	15	11	7	3	9
აბს. მინ.	-11	-10	-9	-5	-1	6	10	10	4	-1	-9	-11	-11

4.5.1.5.5. გეოლოგიური პირობები

4.5.1.5.5.1 **საინჟინრო-გეოლოგიური პირობები**

საპროექტო ტერიტორია შედის მცირე კავკასიონის ნაოჭა სისტემის აჭარა-თერიალეთის ზონის ცენტრალური ქვეზონის უკიდურეს დასავლეთ ნაწილში და მოიცავს სიღრმეში დაძირულ აჭარისწყლის გაშლილი სინკლინური ნაოჭის ჩრდილოეთი ფრთას. თავის მხრივ ნაოჭი მთლიანად აგებულია შუა ეოცენური ასაკის სხვადასხვა ლითოლოგიური შემადგენლობის ვულკანოგენური ნალექების მძლავრი წყებით.

საპროექტო ტერიტორიის ფარგლებში ძირითადი ქანები ყველგან გადაფარულია მეოთხეული ასაკის ალუვიურ-ზღვიური (პლეისტოცენური) და ალუვიური (თანამედროვე) ნალექებით სიმძლავრით რამოდენიმე ათეულ მეტრამდე.

შპს „გონიო 2020“-ის დაკვეთით შპს „TUSKI GEOLOGY GROUP”-ის მიერ 2021 წლის მაისში ჩატარდა საპროექტო ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა. კვლევის მიზანს წარმოადგენდა მშენებლობისთვის გამოყოფილი ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური შესწავლა და საპროექტო შენობების დაფუძნების პირობების დადგენა. საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა მოიცავდა შემდეგი სახის სამუშაოებს:

- მშენებლობისთვის გამოყოფილ ტერიტორიაზე გაიბურღა 4 ჭაბურღილი სიღრმით 6 მ. შესრულებული ბურღვითი სამუშაოების მთლიანი მოცულობა შეადგენდა 24 გრძივ მეტრს. ბურღვა მიმდინარეობდა თვითმავალი საბურღი აგრეგატით yP6-2A მექანიკური-სვეტური ბურღვის მეთოდით, მოკლე რეისებით, მშრალად, კერნის უწყვეტი ამოღებით, დიამეტრით 108 მმ.
- ბურღვის პროცესში მიმდინარეობდა ჭაბურღილების კერნის ვიზუალური აღწერა, მისი ფოტოგრაფირება და დაკვირვება გრუნტის წყლის დონეებზე.

ნახაზი 1 ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური ჭრილები





ᲛᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲛᲐᲜᲥᲐᲜᲝ ᲙᲝᲛᲞᲚᲔᲥᲡᲘ: 2021წ. ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝ ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲛᲞᲚᲔᲥᲡᲘ	ᲑᲣᲜᲙᲔᲠᲘᲡ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ (ᲑᲚ) – 108	ᲜᲐᲮᲐᲢᲘᲡ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ № 3
ᲐᲮᲐᲚᲘ ᲨᲔᲜᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲐ: ᲑᲘᲝᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝ ᲯᲒᲣᲤᲘ: ᲑᲐᲖᲘᲡᲣᲠᲘ ᲛᲝᲓᲔᲚᲘ ᲛᲘᲬᲘᲡ ᲙᲐᲜᲝᲜᲘ: ᲣᲛᲪᲐᲠᲝᲡ ᲐᲠᲛᲐᲢᲣᲠᲘ ᲡᲐᲛᲬᲘᲜᲐᲠᲔ ᲓᲐᲜᲐᲧᲝᲤᲘ ᲡᲐᲫᲘᲔᲑᲚᲘᲡ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ: ᲗᲔᲛᲐ 252 ᲨᲔᲜᲘᲨᲕᲜᲐ ᲒᲠᲣᲜᲢᲘᲡ ᲢᲘᲞᲘ:	ᲨᲔᲨᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲗᲐᲠᲘᲦᲔᲑᲐ (ᲓᲓᲛᲛᲬ) - 89	ᲑᲝᲠᲐᲮᲘᲡ ᲔᲜᲘᲡ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲑᲐ ᲯᲒᲣᲤᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ (ᲛᲐᲠᲪᲮᲜᲘᲕ)

| ᲒᲔᲝᲒᲠᲐᲤᲘᲣᲚᲘ ᲭᲠᲘᲚᲘ | ᲓᲐᲮᲠᲘᲡ ᲓᲔᲞᲗᲘ (Მ) | ᲤᲔᲜᲘᲡ ᲡᲘᲛᲫᲚᲐᲠᲔ (ᲛᲞᲐ) | ᲤᲔᲜᲘᲡ ᲛᲝᲪᲣᲚᲝᲑᲘᲡ ᲙᲣᲗᲮᲘ (ᲒᲠᲐᲓᲘ) | ᲤᲔᲜᲘᲡ ᲛᲝᲪᲣᲚᲝᲑᲘᲡ ᲙᲣᲗᲮᲘᲡ ᲓᲐᲮᲠᲘᲡ ᲓᲔᲞᲗᲘ (ᲛᲔᲢᲠᲘ) | ᲤᲔᲜᲘᲡ ᲛᲝᲪᲣᲚᲝᲑᲘᲡ ᲙᲣᲗᲮᲘᲡ ᲓᲐᲮᲠᲘᲡ ᲓᲔᲞᲗᲘ (ᲛᲔᲢᲠᲘ) | ᲓᲐᲮᲠᲘᲡ ᲓᲔᲞᲗᲘ ᲕᲐᲠᲯᲘᲨᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ (ᲛᲔᲢᲠᲘ) | ᲒᲠᲣᲜᲢᲘᲡ ᲤᲔᲜᲘᲡ ᲛᲐᲮᲐᲡᲘᲐᲗᲔᲑᲔᲚᲘ ᲓᲐᲮᲠᲘᲡ ᲓᲔᲞᲗᲘ

როგორც ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, საპროექტო ტერიტორიის გეოლოგიურ აგებულებაში მონაწილეობენ ზღვიური გენეზისის ქვიშიან-ხრეშოვანი გრუნტები, რომლებიც იჭერენ გეოლოგიურ ჭრილს მთელ შესწავლილ სიღრმემდე. საკვლევი ტერიტორიის უმეტესი ნაწილი უჭირავს ტექნოგენურ (ნაყარი) გრუნტს, რომლის სიმძლავრე მერყეობს 1.5-2 მ-ს ფარგლებში. გრუნტის წყლების მოდინება დაფიქსირდა ოთხივე ჭაბურღილში 2.3- 2.5 მ-ს სიღრმეზე მიწის ზედაპირიდან. ბურღვის პროცესში მისი დონე არ შეცვლილა და დგომა დაფიქსირდა იმავე სიღრმეზე.

ჩატარებული საველე სამუშაოების ანალიზის მიხედვით საპროექტო ტერიტორიის ამგები გრუნტების ფენებში გამოიყოფა 1 საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტი - კაჭარ-კენჭნარი ქვიშის შემავსებელით.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის საფუძველზე შეიძლება შემდეგი დასკვნის გაკეთება:

1. საინჟინრო-გეოლოგიური თვალსაზრისით საპროექტო ტერიტორია იმყოფება დამაკმაყოფილებელ პირობებში. საპროექტო ტერიტორიაზე და მის მიმდებარედ არ აღინიშნება ნეგატიური გეოლოგიური პროცესები.
2. საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით საკვლევი ტერიტორია სნ და წ 1.02.07-87-ის მე-10 (სავალდებულო) დანართის თანახმად I კატეგორიას (მარტივი) განეკუთვნება;
3. უბნის ამგები გრუნტების ფენებში გამოიყოფა 1 საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტი - კაჭარ-კენჭნარი ქვიშის შემავსებელით;
4. ფუძე საძირკვლების ანგარიშისთვის მოცემულ უბანზე გამოყოფილი სგე-ს საანგარიშო ნორმატიული მახასიათებლები, რომლებიც განსაზღვრულია ნორმატიული დოკუმენტის (სნ და წ 2.02.-01-83) დანართი 1, ცხრილი 1 და საცნობარო ლიტერატურის (დამპროექტებლის საანგარიშო თეორიული ცნობარი“) გამოყენებით:

- ხვედრითი შეჭიდულობა C=0.5 კპა;
- შიგა ხახუნის კუთხე ϕ=38o;
- სიმკვრივე ρ=2.1 dtas
- დეფორმაციის მოდული E=52 მპა;
- საანგარიშო წინაღობა R_O=550 კპა;
- საგების კოეფიციენტი K= 5.5 კგძ/სმ^2;

5. საქართველოს ტერიტორიის სეისმური დარაიონების სქემის მიხედვით ქ. ბათუმი მიეკუთვნება 7 ბალიან სეისმურობის ზონას (სნ და წ „სეისმომედეგი მშენებლობა“ პნ 01.01.09);
6. შენობების დაფუძნება მიზანშეწონილია მიზანშეწონილია ფენა 2-ის კაჭარ-კენჭნარზე;
7. დამუშავების სიძნელის მიხედვით, სამშენებლო უბანზე გავრცელებული გრუნტი სნ და წ IV-2-82 ცხრილი 1-ის თანახმად მიეკუთვნებიან: ტექნოგენური გრუნტი (ფენა 1) და კაჭარ-კენჭნარი (ფენა 2) - ყველა სახის დამუშავებისას III ჯგუფის, საშუალო სიმკვრივის 1950 კგ/მ^3 (ვუთანაბრებთ რიგით №6 “ვ“).

4.5.1.5.6. გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე ზემოქმედების ფაქტორები

4.5.1.5.6.1. **მოსალოდნელი ზემოქმედების მოკლე აღწერა**

საპროექტო ტერიტორიის განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციით გათვალისწინებული ხედვების განხორციელებამ გარემოს კომპონენტებზე შესაძლოა იქონიოს როგორც პირდაპირ, ასევე არაპირდაპირ ზემოქმედება. მოსალოდნელი ზემოქმედება შესაძლოა იყოს დადებითიც და უარყოფითიც. უარყოფითი ზემოქმედების ხარისხი დამოკიდებული იქნება ხედვების სპეციფიკაზე, მის განხორციელების ხანგრძლივობაზე და გარემოს კომპონენტების მგრძნობელობის ხარისხზე.

წინასწარი მონაცემებით დაგეგმილი საქმიანობების განხორციელებით გამოწვეული ზემოქმედების სახეები შეიძლება იყოს:

- ატმოსფერულ ჰაერში მტვრის ნაწილაკებისა და მავნე ნივთიერებების ემისიები;
- ხმაური და ვიბრაცია გავრცელება;
- დაბინძურებული ჩამდინარე წყლებით დაბინძურება;
- ნარჩენებით დაბინძურება;
- ავარიული დაღვრებით გამოწვეული უარყოფითი ზემოქმედება.

უარყოფითი ზეგავლენა მოსალოდნელია შემდეგ რეცეპტორებზე:

- ატმოსფერული ჰაერი;
- ზედაპირული და მიწისქვეშა წყლები;
- ნიადაგი და გრუნტი;
- სოციალური გარემო;
- ბიოლოგიური გარემო

პროექტის განხორციელების შედეგად ტრანსსასაზღვრო ზემოქმედება მოსალოდნელი არაა.

4.5.1.5.6.2 .**ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ემისიები და ხმაურის გავრცელება**

ბათუმში ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან მნიშვნელოვანია სხვადასხვა პროფილის წარმოებები, ასეთი შესაძლოა იყოს: მეტალურგიული წარმოება და ლითონის დამუშავება, ქიმიური მრეწველობა, საწვავის შენახვა/რეალიზაცია და სხვა. მობილური წყაროებიდან ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ავტოტრანსპორტის გამონაბოლქვი.

ქ. ბათუმში არსებული სადამკვირვებლო სადგურები, სადაც პერიოდულად ხდება ჰაერის დამაბინძურებლებზე დაკვირვება, განთავსებულია რუსთაველის ქუჩაზე (დრამატულ თეატრთან), ანგისის პოლიციის შენობასთან, ლ. ასათიანის ქუჩაზე (ყინულის სახლთან), მაიაკოვსკის ქუჩაზე (ტერმინალის ცენტრალურ შესასვლელთან) და ფერიის მთაზე (საბაგიროს სადგურთან). ამის გარდა, აბუსერიძის ქუჩაზე განთავსებულ სადგურზე ჰაერის დამბინძურებლებზე დაკვირვება მიმდინარეობს საათობრივად, ხოლო დანარჩენ სადგურებზე – გარკვეული პერიოდულობით. არსებული სადგურებზე ხდება მტვრის, გოგირდის დიოქსიდის, აზოტის ოქსიდების და სხვა დამაბინძურებლების გაზომვა.

ცხრილი 9 გარემოს ეროვნული სააგენტოს სადგური მონაცემები 2021 წლის აპრილის თვე, მგ/მ3

	NO2	SO2	PM2.5	PM10	O3	CO
1	*	0.79	15.31	25.71	25.51	0.03
2	*	1.29	17.07	24.51	25.87	0.15
3	*	0.99	18.28	24.96	23.42	0.21
4	*	1.35	14.16	22.47	42.14	0.26
5	*	2.07	18.21	34.06	33.46	0.61
6	*	3.24	15.21	27.41	28.30	0.90
7	*	3.93	24.10	55.33	35.54	1.03
8	*	0.26	27.84	80.57	32.77	1.00
9	*	0.53	16.14	33.40	32.75	0.00
10	*	0.50	7.86	11.31	31.88	0.00
11	*	0.99	8.08	11.54	25.89	0.13
12	*	0.61	11.92	15.96	20.49	0.17
13	*	0.75	11.28	19.18	20.97	0.06
14	*	1.66	16.16	26.69	30.03	0.36
15	*	1.90	26.09	46.07	33.56	0.66
16	*	1.18	19.97	42.17	29.66	0.31
17	*	0.36	17.22	34.22	30.07	0.06
18	*	2.72	22.60	41.01	21.45	0.57
19	*	2.22	29.10	71.53	17.35	0.67
20	*	0.69	24.06	68.75	21.22	0.37
21	*	0.40	11.46	28.61	31.16	0.05
22	*	0.62	13.67	24.42	22.24	0.05
23	*	0.68	12.58	20.70	22.79	0.31

24	*	0.22	14.81	27.02	33.43	0.28
25	*	0.04	15.35	28.35	21.25	0.00
26	*	0.27	12.95	21.29	17.43	0.02
27	*	0.27	8.95	15.01	21.35	0.05
28	*	1.39	12.91	22.42	22.10	0.17
29	*	0.53	13.76	30.33	15.74	0.11
30	*	0.15	16.88	35.41	27.19	0.15

საპროექტო ტერიტორიის მახლობლად ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების მსხვილი წყაროები წარმოდგენილი არაა, თუ არ ჩავთვლით ბათუმი-სარფი საავტომობილო გზას, რომელიც საპროექტო ტერიტორიიდან 285 მეტრ მანძილში მდებარეობს. საავტომობილო გზაზე მოძრავი ავტოტრანსპორტი ერთერთი ფაქტორია საპროექტო ტერიტორიაზე არსებული ატმოსფერული ჰაერის მავნე ნივთიერებებითა და ხმაურით დაბინძურების თვალსაზრისით.

დაგეგმილი საქმიანობების განხორციელების შედეგად მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედება არ იქნება ხანგრძლივი. ამასთან, სამშენებლო სამუშაოების წარმოება მოხდება კონტრაქტორი კომპანიის მიერ, რომელიც ვალდებული იქნება დაიცვას გარემოსდაცვითი კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნები და სტანდარტები.

ატმოსფერულ ჰაერზე მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების გატარებით ზემოქმედების ხარისხი იქნება დაბალი.

4.5.1.5.6.2. ნიადაგის და გრუნტის დაბინძურება

საპროექტო ტერიტორიაზე ნიადაგის ნაყოფიერი ფენა წარმოდგენილი არაა, რადგან მთელი ტერიტორია დაფარულია ტექნოგენურ (ნაყარი) გრუნტით. აღნიშნულიდან გამომდინარე, პროექტის განხორციელებით ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე უარყოფითი ზემოქმედება მოსალოდნელი არაა.

ილუსტრაცია 6. საპროექტო ტერიტორიაზე არსებული ტექნოგენური გრუნტი

რაც შეეხება გრუნტზე ზემოქმედებას, აღნიშნული დაკავშირებული იქნება ავარიულ დაღვრებთან, რამაც შეიძლება გამოიწვიოს გრუნტის დაბინძურება. გრუნტის დაბინძურების თავიდან აცილების მიზნით სამშენებლო სამუშაოები უნდა წარიმართოს შესაბამისი გარემოსდაცვითი და უსაფრთხოების ნორმების დაცვით.

წინასწარი შეფასებით ნიადაგსა და გრუნტზე უარყოფითი ზემოქმედება დაბალი მნიშვნელობის იქნება.

4.5.1.5.6.3. ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების დაბინძურება

საპროექტო ტერიტორიიდან უახლოესი ზედაპირული წყლის ობიექტი შავი ზღვაა. ასევე, როგორს საინჟინრო-გეოლოგიურმა კვლევებმა აჩვენა საპროექტო ტერიტორიაზე გრუნტის წყლები გრუნტის ზედაპირთან საკმაოდ ახლოსაა. დაგეგმილმა სამუშაოებმა შესაძლოა უარყოფითი ზეგავლენა იქონიოს გრუნტის წყლის ხარისხზე, რაც დაკავშირებული იქნება სამუშაოების არასწორ წარმართვასთან და ნარჩენების არასათანადო მართვასთან (განსაკუთრებით თხევადი ნარჩენების).

ზედაპირული და მიწისქვეშა წყლებზე უარყოფით ზემოქმედება, ასევე მოსალოდნელია ავარიული დაღვრების შემთხვევაში, რისთვისაც გათვალისწინებული უნდა იყოს ავარიულ დაღვრებზე დროული რეაგირების სათანადო ღონისძიებები.

აღსანიშნავია, რომ საპროექტო ინფრასტრუქტურისთვის მოეწყობა საკანალიზაციო და სანიაღვრე ქსელი. ამავდროულად, დაგეგმილი სამუშაოების განხორციელებისას მკაცრად უნდა იყოს დაცული გარემოსდაცვითი პირობები, რაც მინიმუმამდე შეამცირებს ზედაპირულ წყლებზე უარყოფითი ზემოქმედების ხარისხს.

შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების გატარებითა და გარემოსდაცვითი სტანდარტების დაცვის შემთხვევაში ზედაპირულ და მიწისქვეშა წყლებზე მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედება დაბალი მნიშვნელობის იქნება.

4.5.1.5.6.4. ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედება

საპროექტო ტერიტორიაზე მცენარეული საფარი წარმოდგენილი არაა. მიმდებარე ტერიტორიაზე ვხვდებით სხვადასხვა სახეობის ერთეულ ინდივიდ ხე-მცენარეებს, რომლებზეც პირდაპირი უარყოფითი ზემოქმედება მოსალოდნელი არაა.

ილუსტრაცია 7 საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ არსებული მცენარეულობა

საპროექტო ტერიტორია მსხვილი ძუძუმწოვრებისთვის და მტაცებლებისთვის საბინადრო გარემოს არ წარმოადგენს, რადგან ტერიტორია ანთროპოგენური ზემოქმედების ქვეშაა. ფაუნის წარმომადგენლები საპროექტო ტერიტორიაზე შესაძლოა ყოველდღიური რუტინული გადაადგილებისა და საკვების მოპოვების პერიოდში მოხვდნენ. დაგეგმილი სამუშაოების განხორციელებამ შესაძლოა ფაუნის სახეობების დროებითი შეშფოთება გამოიწვიოს, რომლის ხანგრძლივობა დამოკიდებული იქნება პროექტით გათვალისწინებული საქმიანობების განხორციელების სპეციფიკასა და მასშტაბებზე.

საპროექტო ტერიტორიიდან ჩრდილოეთით, 1200 მეტრში, მდებარეობს ფრინველთათვის მნიშვნელოვანი ადგილი დასახლებით „ჭოროხის დელტა“. მანძილის და დაგეგმილი სამუშაოების სპეციფიკის გათვალისწინებით ორნითოფაუნაზე უარყოფითი ზემოქმედება მოსალოდნელი არაა.

პროექტის განხორციელებისას, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების გატარებით ფაუნაზე უარყოფითი ზემოქმედება უმნიშვნელო იქნება.

4.5.1.5.8. სოციალურ გარემოზე ზემოქმედება

საპროექტო კონცეფციების ფუნქციური დანიშნულების და ადგილმდებარეობისა გათვალისწინებით, პროექტის განხორციელება დადებით ზეგავლენას იქონიებს სოციალურ გარემოზე. პროექტის განხორციელებით შეიქმნება საცხოვრებლად კომფორტული სივრცე. ასევე გასათვალისწინებელია, რომ საპროექტო კონცეფციების განხორციელების შემთხვევაში შეიქმნება დროებითი სამუშაო ადგილები, სადაც გარკვეული რაოდენობის ადამიანი დასაქმდება. სამუშაო ადგილების შექმნა გაუმჯობესებს დასაქმებულთა სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას.

4.5.1.5.7. ადამიანის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე ზემოქმედება

პროექტით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელების პერიოდში არსებობს ადამიანის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკები, რაც შეიძლება გამოწვეული იყოს ავარიული სიტუაციებითა და სამუშაო პირობების დარღვევით. ტექნიკა-დანადგარების არასწორი მართვამ, მძიმე სამუშაოებმა, ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გარეშე მუშაობამ და სხვ. შესაძლებელია ადამიანის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე იქონიოს როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი უარყოფითი ზეგავლენა. პირდაპირი უარყოფითი ზეგავლენა შესაძლოა მძიმე შედეგებითაც დამთავრდეს.

სამშენებლო სამუშაოების განმახორციელებელმა კომპანიამ სამუშაო სივრცეში უნდა უზრუნველყოს შრომის უსაფრთხოების მაქსიმალური დაცვა. პერსონალის უსაფრთხოება რეგლამენტირებული უნდა იყოს შესაბამისი სტანდარტებით, სამშენებლო ნორმებით და წესებით. სამუშაოების წარმოებისას მშენებელი კომპანიის მიერ დანიშნული/მოწვეული უნდა იყოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელიც უზრუნველყოფს შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვასა და უსაფრთხოების ღონისძიებების დანერგვას.

ჯანმრთელობის დაცვისა და შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვა/გათვალისწინების შემთხვევაში, ადამიანების ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე პირდაპირი უარყოფითი ზემოქმედება დაბალი მნიშვნელობის იქნება.

4.5.1.5.8. გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები

განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციები თავისი მასშტაბიდან გამომდინარე გარემოზე მკვეთრ უარყოფით ზემოქმედებას არ იქონიებს. თუმცა პროექტით გათვალისწინებული კონცეფციების განხორციელებისას აუცილებელი იქნება გატარდეს რიგი შემარბილებელი ღონისძიებები. გასატარებელი შემარბილებელი ღონისძიებები შეიძლება დავყოთ ორ ჯგუფად - 1) ადამიანის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული შემარბილებელი ღონისძიებები და 2) გარემოსადცვითი შემარბილებელი ღონისძიებები.

ადამიანის ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დასაცავად უნდა გატარდეს შემდეგი შემარბილებელი ღონისძიებები:

- სამუშაოებში ჩართული პერსონალი უზრუნველყოფილი უნდა იყოს ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით;
- დაცული უნდა იყოს სამუშაო გრაფიკი;
- საშიშპირობებიანი, მავნე და მძიმე სამუშაოების შემთხვევაში პერსონალის უსაფრთხოებისთვის უნდა გატარდეს დამატებითი შემარბილებელი ღონისძიებები;
- პერიოდულად გაკონტროლდეს მანქანა-დანადგარების გამართულობა;

- საქმიანობის განმახორციელებელი კომპანიის მიერ უნდა დაინიშნოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელიც უზრუნველყოფს შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვასა და უსაფრთხოების ღონისძიებების გატარებას;
- პერსონალს უნდა ჩაუტარდეს ცნობიერების ამაღლებისა სწავლებები უსაფრთხოებისა და შრომის დაცვის საკითხებზე;
  საპროექტო კონცეფციების განხორციელებისას, საჭიროების შემთხვევაში, უნდა გატარდეს შემდეგი შემარბილებელი ღონისძიებები:

